


თბილისის  
განო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
პიულეტენი



თბილისი. 0360ს. 2006

**№4**

3. ცოტა რამ ტრადიციული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმების ისტორიიდან
5. ტმპსც-ის ახალი გამოცემები
8. სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია „ბრაჟნიკოვსკის ჩტენია 2006“
9. ინტერვიუ დე პოლის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორთან, საგუნდო დირიჟორ ქლეიტონ პართან
11. ეთნომუსიკოლოგია. ვოკალური მრავალხმიანობის გაგრცელება მსოფლიოს ტრადიციულ მუსიკალურ ქულტურებში (გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში)
16. ეთნომუსიკოლოგია. ქართული სიმღერის ახალი როლი თუ მისი უძველესი ფუნქციის გაგრძელება?
20. ქართველი ეთნომუსიკისმცოდნები. მინდია ქორდანია
22. საველუ-შემქრებლობითი მუშაობა. ფოლკლორისტული ექსპერიცია კახეთის რეგიონში
24. საქართველოს ფოლკლორული კოლექტივები. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“
26. „ჩვენისთანა სიმღერებს ვერსად მოისმენ...“ ინტერვიუ მომღერალ ილია ზაქაიძესთან
28. ერთი ქართული ხალხური სიმღერა. „მისდევს მელა ლომსა“



*Science Publishers, Inc.*

400 Oser Avenue, Suite 1600, Hauppauge, N. Y. 11788-3619, USA  
 Phone (631) 231-7269 • Fax (631) 231-8175  
<http://www.novapublishers.com>

ნომერი გამოდის გამომცელობა „ნოვა საიენს  
 პაბლიშერს“-ის (აშშ) მხარდაჭერით

რედაქტორები:

რუსუდან წურწუმია,  
 თამაზ გაბისონია

მთარგმნელები:

მაია კაჭკაჭიშვილი,  
 კლეიტონ ჰარი

დიზაინერები:

ნიკა სებისკერაძე,  
 გიორგი კოკილაშვილი

კომპ. უზრუნველყოფა:

თამაზ გაბისონია  
 კახა მაისურაძე

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
 სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული  
 მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2006

**ISSN 1512 - 2883**

სტამბა: „პოლიგრაფი“

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.  
 ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: [polyphony@polyphony.ge](mailto:polyphony@polyphony.ge); [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge);

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

# ცოტა რამ

## ტრადიციული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმების ისტორიიდან

ახლოვდება ტრადიციული მრავალხმიანობის III საერთაშორისო სიმპოზიუმი - იგი საზეიმოდ გაიხსნება 25 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში და მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში უმასპინძლებს მსოფლიოს გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებსა და ქართული ხალხური სიმღერის უცხოელ შემსრულებლებს. ახალ სახელმწიფო ერთად, მეცნიერთა შორის ისინიც არიან, ვინც წინა სიმპოზიუმებს სტუმრობდა. ეს მეტად სასიხარულო ფაქტია, რომელიც თბილისური ფორუმის პრესტიუსა და პოტულარობაზე მეტყველებს. ჩვენ დიდ მადლიერებას გამოვხატავთ დრ. დიეტერ ქრისტენსენის, დრ. იზალი ზემცოვსკის, დრ. ფრანც ფორედერმაირის, დრ. ოოპაში ცუტომუს, ნიშინა ემის და ნორიე კავაის, დრ. სიუზან ციგლერის, დრ. დაივა რაზიუნაიტე-ვიჩინიენეს მიმართ, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრთან. კიდევ უფრო გაფართოვდა სიმპოზიუმის გეოგრაფიაც - წინა სიმპოზიუმზე წარმოდგენილ ქვეყნებს - ავსტრიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, იაპონიას, რუსეთს, გერმანიას, შვეიცარიას, შვედეთს, უკრაინას, ლიტვას, ნორვეგიას, პოლანდიას III საერთაშორისო სიმპოზიუმზე დაქმატა ბულგარეთი, ხორვატია, იტალია, ესპანეთი. როგორც ჩანს, ჩვენმა სიმპოზიუმმა შეძლო მეტად მნიშვნელოვანი პირები ამოცანის შესრულება - მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგიური წრეების ყურადღების მოპყრობა საქართველოსაკენ, უნიკალური ქართული მრავალხმიანობისაკენ, რომლის გარეშე მსოფლიო მრავალხმიანობა დაქვემდებრულია და ახლა მხოლოდ ქართველ ეთნომუსიკოლოგებზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებენ ისინი ამ საერთაშორისო ურთიერობების განვითარებას.

მსოფლიოში ტრადიციული მუსიკის შემსწავლელი მრავალი სამეცნიერო ცენტრი არსებობს, მისი კვლევის შედეგებს მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგები უძღვნიან სემინარებს,

სიმპოზიუმებს, კონფერენციებს. ისინი იმართება მრავალ ქვეყანაში და ისინი განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებაში. ეს სამეცნიერო ფორუმები, ცხადია, მოიცავენ ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ყველა ასპექტს, მათ შორის, მრავალხმიანობის საკითხებსაც. მაგრამ თბილისური სიმპოზიუმები უძღვნება საკუთრივ მრავალხმიანობის, როგორც ტრადიციული მუსიკალური ცნობიერების საკითხივი გამოვლინების პრობლემებს, და ამდენად, მას, ჩემი აზრით, ერთგვარად გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მე, როგორც ამ სიმპოზიუმების ერთ-ერთი ორგანიზატორი, დავინტერესდი, როგორია მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმების ჩატარების ისტორია. ეს დანამდვილებით ვიცოდი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, საკუთრივ მრავალხმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თანაც დასავლეთის ეთნომუსიკოლოგების მონაწილეობით, პირველად 1984 წელს საქართველოში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა. ამას 1986 და 1988 წლების ბორჯომის კონფერენციები მოჰყვა. მათში მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ოსკარ ელშეკი, ნიკოლაი კაუფმანი, ბარბარა კრადერი, დუნია რიჩმანი, დრაგოსლავ დევიჩი, მარგარიტა მაზო, სიუზან ციგლერი, რადმილა პეტროვიჩი, იზალი ზემცოვსკი, ედუარდ ალექსეევი და სხვები.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი იყო მრავალხმიანობის პრობლემებზე ასეთი ფორუმების ჩატარების ისტორია მსოფლიოს მასშტაბით, სოსო ურდღანიამ მომაწოდა, რისთვისაც მე მას მადლობას ვუხდი. ერთ-ერთი ასეთი პირველი კონფერენცია, 1966 წელს განაში (აფრიკა) ტრადიციული მუსიკის საერთა-



ტმბსტ-ის II სიმპოზიუმზე, 2004 წელი

შორისო ცენტრს (ტმსც) ჩაუტარებია, რომელზეც გამოცხადებული ორი თემიდან ერთ-ერთი მრავალხმიანობა იყო. სხვათა შორის, აქ მრავალხმიანობის შესახებ სულ ათი მოხსენება ყოფილა წაკითხული, მათ შორის ერთ-ერთი ქართულ მრავალხმიანობისათვის მიუძღვნია ერნსტ ემსპაიმერს.

1972 წელს საბჭოთა კავშირის ფოლკლორულ კომისიას დასავლეთ საქართველოში მოუწყია სამეცნიერო სესია თემაზე „მრავალხმიანობა ხალხური მუსიკალური შემოქმედებაში“.

1973 წელს ESEM-მა (ევროპული სემინარი ეთნომუსიკოლოგიაში) ერთ-ერთი თავის ყოველწლიურ სემინართაგანი მიუძღვნა თემას „ბურდონი ევროპულ ხალხურ მუსიკაში“.

შემდეგ მოდის საქართველოში ჩატარებული სამი კონფერენცია – 1984, 1986 და 1988 წლებში.

1991 წელს სიმპა აროშმა პარიზში მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია „მრავალხმიანობა რუსულ ხალხურ მუსიკაში“, ხოლო 1993 წელს ჩატარა კ.წ. „სამუშაო შეხვედრა“ მრავალხმიანობაზე მომუშავე სპეციალისტებისათვის. ამ შეხვედრას სხვებთან ერთად ესწრებოდა ედიშერ გარაფანიქ, რომელმაც სიუზან ციგლერთან ერთად წარმოადგინა მოხსენება ქართულ მრავალხმიანობაზე.

ამის შემდეგ ჩატარდა ორი კონფერენცია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 1998 და 2000 წელს. ეს უკანასკნელი ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ჩატარდა და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ პირველად აღადგინა მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციების საერთაშორისო სტატუსი, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი 2002 და 2004 წლების ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე შეიძინა.

2004 წელს ტაივანის უნივერსიტეტში ჩატარდა სპეციალურად მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი კონფერენცია, 2005 წლის მარტში კი ვენაში შედგა სიმპოზიუმი „ევროპული ხმები“ თემაზე „მრავალხმიანი სიმღერა ბალგანებთა და ხმელთაშუა ზღვის აუზში“.

როგორც ვხედავთ, მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი კონფერენციები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოში ჩატარებულთ, ფრაგმენტულ ხასიათს არარებდნენ. პირველად სწორედ 1980-იანი წლებში გაუდერდა მრავალი ახალი იდეა ტრადიციული მრავალხმიანობის არსებული კონცეფციის გასამდიდრებლად, რამაც კიდევ უფრო მრავალმხრივი გამოხატულება პპოვა 2002 და 2004 წლების სიმპოზიუმებზე.

ამ სიმპოზიუმების ორგანიზება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეთნომუსიკოლოგების მიერ მრავალხმიანობის ფენომენის კვლევის ახალ-ახალი ასპექტების წარმოჩენაა სწორედ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. თბილისის სიმპოზიუმებში უკვე მონაწილეობდა აშშ-ს, საფრანგეთის, ავსტრიის, იაპონიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის, ლიტვის, უკრაინის, პოლონეთის, რუსეთის, ავსტრალიის 40-მდე მეცნიერი, რომ არაფერი ვთქვათ ქართველ მეცნიერებზე. ხოლო 2006 წლის სიმპოზიუმზე, გარდა ამ ქვეყნების წარმომადგენლებისა, ჩამოსვლას აპირებენ კანადის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის ბასკეთის, ბულგარეთის, ხორვატიის წარმომადგენლები. ამ ქვეყნების მრავალხმიანობის გარდა, თბილისის სიმპოზიუმებზე წარმოდგენილია მონდოლური ყელისმიერი მრავალხმიანობა, ალბანური, ბოსნია-ჰერცოგოვინას, იორდანიისა და ერაყის, ახალი გვინეის, ინდონეზიის, ტანზანიის მრავალხმიანობაც – ეს თითქმის მთელი მსოფლიოს მრავალხმიანობაა, თავისი საოცარი მრავალფეროვნებითა და უმდიდრესი ფორმებით!

ჩვენთვის დიდად სასიამოვნო გახლდათ ESEM-ის („ევროპული სემინარი ეთნომუსიკოლოგიაში“) საინფორმაციო ბიულეტენის (Newsletter №.39, გვ.17-18) ინფორმაცია ვენის 2005 წლის სიმპოზიუმის შესახებ, სადაც სხვასთან ერთად ლაპარაკი იყო ევროპული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის დაარსების იდეაზე. ამ ინფორმაციას ხელს თბილისის 2004 წლის სიმპოზიუმის მონაწილე დრ. არდიან აჭმედაია აწერს. ცხადია, ქართული მრავალხმიანობა დღეს ევროპული მრავალხმიანობის ერთ-ერთი უნიკალურ და უძველეს გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. იქნება არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ საქართველოში, დმანისის გათხრებმა წარუდგინეს მთელს ევროპას „პირველი ევროპელები“ მზია და ზეზვა! ეს კი, ჩემი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ახალ ცენტრს მჭიდრო კავშირი ექნება ქართული მრავალხმიანობის მკვლევარებთანაც, ხოლო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრს გაუჩნდება ახალი პარტნიორი, რომელთან თანამშრომლობით არაერთი საიტერესო პროექტის განხორციელება გახდება შესაძლებელი.

**რუსულან წურწუმია**

# ტმპსც-ის ახალი გამოცემები

**2005 წელს** ტმპსც-მა გამოსცა სახელმძღვანელო კონსერვატორიის სტუდენტებისათვის „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“. წიგნს თან ერთვის სანოტო დანართი, აგრეთვე ნოტების შესაბამისი სასიმღერო ილუსტრაციები ორი კომპაქტდისკის სახით. ტექსტის შემდგენლები არიან თამარ მესხი და თამაზ გაბისონია; ბიბლიოგრაფიის შემდგენლები – ნინო ნაკაშიძე და ოთარ კაპანაძე; სიმღერების გაშიფრვაში მონაწილეობდა ტმპსც-ის ყველა წევრი; კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლევან ვეშაპიძისა და თამაზ გაბისონიასი. სახელმძღვანელოს რედაქტორია რუსული წურწუმია.


**ტმპსც-მა** დაიწყო ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის არქივში დაცული საექსპედიციო მასალების გამოქვეყნება. გამოვიდა პირველი კომპაქტდისკი „1952 წლის კახეთის ექსპედიციის ჩანაწერები“. ეს იყო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის ერთ-ერთი პირველი ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელი იყო გრიგოლ ჩხილაძე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ოთარ ჩიჯავაძე, ედუარდ სავიცკი, თენგიზ ერისთავი, კახი როსებაშვილი და ალექსანდრე ბუკია. სიმღერები ჩაწერილია გურჯაანის, თელავისა და ყვარლის რაიონებში. შემსრულებლები: სახელოვანი ლოტბარის, მომღერლისა და მგალობლის, ლევან მუდალაშვილის გუნდი გურჯაანიდან; სოლომონ ჩაჩაური და გიორგი სიმაშვილი ართანიდან; ყვარლის მომღერალთა გუნდი; გიგა ღვინიაშვილის საოჯახო ანსამბლი და შუქური გურგენიშვილი ველისციხიდან; გიო ნასყიდაშვილი და პართენა არჯევნიშვილი ენისლიდან. კომპაქტდისკის გამოცემაზე მუშაობდნენ კათედრისა და ცენტრის წევრები: ნატალია ზუბაძე, ქეთევან მათიაშვილი, თინათინ ჟვანია, არჩილ ხარაძე. ინგლისური თარგმანი ეკუთვნის მაია კაჭკაჭიშვილსა და კლეიტონ პარს (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

**გამოვიდა** სანოტო კრებული „ქართული ხალხური სიმღერები“, ანთისხატის ტაძრის გუნდის რეპერტუარიდან. კრებული შეიცავს სიმღერებს ანთისხატის გუნდის მიერ 2000 წელს გამოქვეყნებული აუდიო კომპაქტდისკიდან „ქართული ხალხური სიმღერები“. კრებული შეადგინა და




სიმღერები ნოტებზე გადაიტანა დავით შუღლიაშვილმა. რედაქტორია მალხაზ ერქვანიძე, მხატვარი – თენციზ მირზაშვილი. გამოცემაზე მუშაობდნენ: ლევან ვეშაპიძე, გიორგი ბაგრატიონი, ჯონ გრემი, ლევარსაბ ტოგონიძე. სიმღერების ტექსტების თარგმანი: ელენე ფალავა, ია იაშვილი. კრებული გამოიცა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. კრებულს დაერთვის დავით შედლიაშვილის წინასიტყვაობა, სიმღერების ტექსტების ინგლისური თარგმანი, რომელიც შესრულებულია ელენე ფალავასა და ია იაშვილის





მიერ, შემსრულებლების ჩამონათვალი და დისკოგრაფია. კრებულში შესულია მეგრული, სვანური, გურული, კახური, ქართლური, იმერული და ქალაქური სიმღერები (ქართულ და ინგლისურ ენებზე).


**გამოიცა** საქართველოს საპატიოარქოს ფოლკლორულ ანსამბლ „ბასიანის“ კომპაქტ-დისკი, რომელშიც შევიდა რამდენიმე საეკლესიო საგალობელი და ოუმჯური, კახური, გურული, მეგრული, იმერული, სვანური, ლაზური ხალხ-



ური სიმღერები. ეთნომუსიკოლოგ ნინო მახარაძის ანოტაცია ინგლისურ ენაზე თარგმნეს მაია კაჭკაჭიშვილმა და კარლ ლინიქმა.


**გამოვიდა** სანოტო კრებული „ქართული საეკლესიო გალობა“, გელათის სკოლა. მასში შესულია დიდი მარხვისა და ზაგიის საგალობლები. კრებულის შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორია მალხაზ ერქვანიძე. მუსიკალური და სიტყვიერი ტექსტი ააწყო და დააკაბადონა ლევან ვეშაპიძემ. რედაქტორები: ექვთიმე კოჭლაძაზაშვილი, ქეთუვან მათიაშვილი; მხატვრული გაფორმება – გოჩა ბალავაძის; მთარგმნელი – ქეთევან ელიოზიშვილი; კორექტორი – მაგდა სუხიაშვილი. კრებული გამოსცა სრულიად საქართველოს საპატიოარქოს საეკლესიო გალობის ცენტრმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

**გამოიცა** სანოტო კრებული „არტემ ერქომაიშვილი“. მასში შესულია სიმღერები და საგალობლები არტემ ერქომაიშვილის რეპერტუარიდან. კრებულის ავტორია არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილი, ქართული ხალხური მუსიკის დიდი მოამაგე ანზორ ერქომაიშვილი. კრებულზე მუშაობდნენ: ვლადიმერ გოგოტიშვილი, ლელა მაქარაშვილი, ვახტანგ როდონაია, დავით შულლიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ქეთევან მათიაშვილი, ნინო მახარაძე. ინგლისურიდან თარგმნეს მაია



კაჭკაჭიშვილმა და ქარლ ლინიქმა; დიზაინი ეპუთვნის ვახტანგ რურუასა და ივანე კიქნაძეს. კრებული გამოსცა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე).


გამოიცა მონოგრაფია „ჯოკია მეშველიანი“, რომელიც ეძღვნება ლენტების ხალხური სიმღერის ანსამბლ „ლილებს“ ხელმძღვანელს, შესანიშნავ ქართველ ლოტბარს, სვანური სიმ-



## ჯოკია მეშველიანი

დერის ბრწყინვალე შემსრულებელს, ჯოკია მეშველიანის. მონოგრაფიის ავტორია მარინე კვიშინაძე. წიგნზე მუშაობდნენ: თამარ კვლიშვილი, ნათელი თუხარელი. წიგნი გამოიცა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ (სამეთვალყურეო საბჭოს საბჭოს თავმჯდომარე – ანზორ ერქომაიშვილი), ჯოკია მეშველიანის სახელობის ფონდის დახმარებით (ქართულ ენაზე).

გამოიცა კომპაქტდისკის ნაკრები (2) „ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერები“. (XX საუკუნის 30-იანი წლების უნიკალური ჩანაწერები), რომელშიც შესულია სვანური, გურული, მეგრული, ქართლ-კახური და აფხაზური ხალხური სიმღერები. დისკზე მუშაობდნენ: ანზორ ერქომაიშვილი, მიხეილ კილასონიძე, გიორგი შენგელია, ვახტანგ როდონაია, თემურ გვანცელაძე, ნოდარ მალაზონია, ნიკა კუპრაშვილი. ანოტაცია ეკუთვნის ცნობილ ფოლკლორისტს, აწერდა ცვლილ კუკური ჭოხონელიძეს; ინგლისური თარგმანი – მაია კაჭკაჭიშვილს და ქარლ ლინიქმს. დისკი გამოცემულია ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).



მოამზადა ნინო ნაკაშიძემ

# სამეცნიერო- შემოქმედებითი კონფერენცია „ბრაჟნიკოვსკიე ჩტენია 2006“

1974 წლის 1 აპრილს ლენინგრადის რიმ-სკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პირველად შედგა კონფერენცია, რომელიც ტრადიციულ რუსულ სამგალობლო შემოქმედებას და იმავდროულად ცნობილი რუსი მეცნიერის, კომპოზიტორის და პედაგოგის – მაქსიმ ვიქტორის ძე ბრაჟნიკოვის ხსოვნას მიეღდვნა. სწორედ მ. ვ. ბრაჟნიკოვი გვევლინება რუსული თანამედროვე მედიევასტიკის სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლად.

რუსეთში მართლმადიდებლური გალობის ჟესტავლის ისტორიაში „ბრაჟნიკოვსკიე ჩტენია“-ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს; მეცნიერ-მედიევისტთა ახალი თაობის ჩამოყალიბება სწორედ ამ სიმპოზიუმის ფარგლებში ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბრაჟნიკოვსკიე ჩტენია“ რუსეთის მასშტაბით პირველი სამეცნიერო-შემოქმედებითი სიმპოზიუმია, რომელიც სხვადასხვა მართლმადიდებელ ერთა საეკლესიო-სამგადობლო ტრადიციების, საეკლესიო-საკომპოზიტორო პრაქტიკის, თანამედროვე სასულიერო საკონცერტო მუსიკის ჟესტავლას ეძღვნება. სიმპოზიუმი აერთიანებს, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე სპეციალისტებს. უკვე ცნობილ მეცნიერებთან ერთად, მასში მონაწილეობა არ აქვთ შეზღუდული დამწყებ მეცნიერებსაც. როგორც ეკვლა, ასევე ამ სიმპოზიუმსაც თან სდევს მო-



## ქართველი მგალობლები რუს კოლეგებთან ერთად

ხსენებათა პუბლიკაციები. „ბრაზნიკოვსკიე ჩტენია“-ს მასალებზე დაყრდნობით შედგენილი სამეცნიერო შრომათა პირველი კრებულები XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს – 80-იანი წლების დასაწყისში გამოიცა. სიმპოზიუმის პლევითო სპექტრი თანდათანობით გაფართოვდა. თუ საწყის ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობოდა წყაროთმცოდნეობას და ტექსტოლოგიას, შემდგომში შესწავლილ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიც არის: პოეტიკა, ისტორიულ-კულტურული პრობლემატიკა, თეორია, შემსრულებლობა, შეუსაუკუნეულის სამგალობლო ტრადიციების კომპარატიული შესწავლა.

1977 წლიდან სიმპოზიუმის შემადგენელ  
ნაწილად იქცა ხელნაწერთა გამოფენა, რომელ-  
იც ყოველწლიურად სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის  
ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა გან-  
ყოფილებაში იმართება. დღესდღეობით სანქტ-  
პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიის  
გარდა სიმპოზიუმში მონაწილეობენ: რუსეთის  
ნაციონალური ბიბლიოთეკა, ფოლკლორის ცენ-  
ტრი და შერეგმეტიევის სასახლე. გარდა ყოვე-  
ლივე ზემოაღნიშნულისა, სიმპოზიუმს თან ახლავს  
საკონკრეტო პროგრამა.

Է Ֆ. մասშո մռնաֆօլցըօծնեցն: մամակաւուա  
զյնճօ տպինուս շդաձենուս Տանքի-էշիցըրծնացն  
մյցիովիճան, գոռացլուրցլո անսամելու, մցալու  
րյացլո პրոցեսոյցլո մյասոյցուս անսամելյեցն:  
" Է " դա ՞՞ - Է ", Տանքի-էշիցըրծնացն  
ցուս „Ֆյեսթրոյուս“ լցուումմածելուս Տաեցլուուս ქար-  
տյալո ցալցեսուս մցալուրցլու - գոռըց ցըր-  
լուանու, ցոռորցու մօրմցուրց, դաշուտ մյցրցալումցուրց  
դա մատուան ցրտած ցարմանունց դուսամօնց, րոմցալ-  
ուց այցա անսամելլ ՞՞ - Է "-ս Ֆյեմած-  
ցենլուուանու օմպոցըօծուած: ցարդա ամուսա, ման Տօմ-  
ան թույմուս Տամյցնօյրու Եաֆօլցնուց մուռու մռնաֆ-  
օլցըրծնա:

უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. ზემოთ ჩამოთვლილ აგტორობების ანსამბლებთან ერთად მსმენელის დიდი სიმპათია ერთობლივ ქართულ-რუსულ ნამუშევარსაც ხვდა წილად. ანსამბლ „°° - -

Ֆ"-ե სუրვուատ, մօսմա եղանձանշալմա - նացալու մռսուացինամ და անսամბլու պայման վեցր- մա մասնացքա արադրու վարժակա սահագուածուացու.

აღნიშნული ანსამბლის მექ კონცერტზე შესრულდა ბიზანტიური, ქართული, სერბული და რუსული საგალობლები, რის შემდეგაც სცენაზე ქართველი შემსრულებლები გამოვიდნენ. აუდერდა ქართული გალობა და მრავალქამიერი. საკონცერტო პროგრამა, ქართველების და რუსების მექ ერთად შესრულებული ფალიაშვილისეული „შენ ხარ ვენახით“ დასრულდა. დარბაზში იმ წუთებში ენით აუწერელი ემოცია სუფევდა. მსმენელმა სცენაზე არაერთხელ იხმო ანსამბლი „„ - -

ჟ“ და ქართული ტაძრის მგალობლები. პირველი „ბის“-ი მეტად საინტერესოდ წარიმართა: ანტიფონურად შესრულდა ჯერ რუსული, შემდეგ კი ქართული მრავალქამიერი. მეორე „ბის“-ი კიდევ ერთი ქართული მრავალქამიერით დაგვირგვინდა.

### ეპატერინე დიასამიძე

## ინტერვიუ დე პოლის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორთან, საგუნდო დორიულ კლეიტონ პართან

ბატონო პარ, რას გეგმვოდით თქვენი საქმიანობისა და იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ?

მე წარმოვადგენ ჩიკაგოს დე პოლის უნივერსიტეტის მუსიკალურ სკოლას. დე პოლი არის ყველაზე დიდი კათოლიკური უნივერსიტეტი ამერიკაში, სადაც 20 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, ხოლო ჩვენს მუსიკალურ სკოლაში დაახლოებით 400 სტუდენტია. როგორც საგუნდო ფაკულტეტის ხელმძღვანელი, მე ვდირიულობ გუნდებს, მიმყავს კურსები საგუნდო ლიტერატურაში, დირიჟორობასა და მუსიკალურ განათლებაში. გარდა ამისა, მე აქტიური შემსრულებელიც ვარ ჩიკაგოს რეგიონში. 2005-2006 აკადემიური წელი გავატარე თბილისში ფულბრაიტის პროგრამით; ვასტავლიდი და ვსწავლობდი ქართულ მუსიკას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

რამდენად დიდია ამერიკაში ინტერესი ამერიკული და სხვა ქვეყნების ტრადიციული მუსიკალური კულტურის მიმართ?

ამჟამად ძალიან დიდი დაინტერესებაა ყველა სახის მსოფლიოს ტრადიციული მუსიკით, როგორც მკვლევარების, ისე შემსრულებლებისა და მსმენელების მხრიდან. ბევრი მუსიკალური სკოლა იწვევს ეთნომუსიკოლოგებს და მრავალ გუნდს თავის საკონცერტო რეპერტუარში შეაქვს მულტიკულტურული მუსიკა. რაც შეეხება საკუთრივ ამერიკულ ტრადიციულ მუსიკალურ კულტურას, ისეთ ქანტებს, როგორიცაა სპირიტუელი, გოსპელი და ჯაზი, დიდი ხანია მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ აკადემიურ განათლებაში, და ასევე გაზრდილია ინტერესი და აქტიურად შეისწავლება ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის – ინდიელების მუსიკა. ჩვენ დიდი დრო დაგჭირდა ამერიკული საზოგადოების სხვა სეგმენტების ტრადიციული მუსიკის აღირებისათვის, მაგრამ ეს თანდათან იცვლება.

კომპაქტურ დისკებზე გამოცემული მსოფლიო მუსიკის ნიმუშების გაყიდვის მაჩვენებელმა აშშ-ში მნიშვნელოვნად მოიმატა და შექმნა ტრადიციული მუსიკის პოპულარული ბაზარი, რომელიც ახლა გაცილებით დიდია, ვიდრე ადრე იყო. ტრადიციული მუსიკის ზოგიერთი შემსრულებელი ბევრ ფულს შოულობს კომპაქტური დისკების გაყიდვით. თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, ის ჩანაწერები, რომლებიც ყველაზე კარგად იყიდება, ავთენტიკური შესრულებით ვერ დაიკვეხის. ბევრი „ხალხური“ ანსამბლი, რომელთა ფირფიტები კარგად იყიდება, ქნის ისეთ მუსიკას, რომელიც არის პოპულარიზებული ან გაქალაქურებული, ისევე როგორც ზოგიერთი ქართული ქალაქური მუსიკის ნიმუში, რომლებიც თბილისში ასე მრავლად ისმის დღეს.

**როგორ გაიცანით ქართული ტრადიციული მუსიკა?**

ქართველი პიანისტი ეთერი ანჯაფარიძე ჩემი კოლეგაა დე პოლის უნივერსიტეტში. 2002 წელს, მასთან სტუმრობდნენ ქალბატონები მანანა დოიჯაშვილი და ია სურციძე, რომლებიც განიხილავდნენ თბილისის კონსერვატორიასთან გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობას. როდესაც მე მათ შევხვდი, მათ დამპატიუს თბილისში; მოგვიანებით დავუკავშირდი ამერიკული ჯგუფის „ვილიჯ ჰარმონის“ ხელმძღვანელებს ფატი კაილერსა და ლარი გორდონს. ეს ორგანიზაცია იწვევდა საქართველოში სასიმღერო და საკონცერტო მოზაურობის მსურველებს. თქვენს ქვეყანაში ჩემი პირველი ვიზიტის დროს მე გარკვეული ხანი გავატარე თბილისის კონსერვატორიაში. შემდეგ შეგეგმოთდი „ვილიჯ ჰარმონის“; ამ ჯგუფთან ერთად ვიმოგზაურე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მათთან ერთად ვასრულებდი ქართულ ხალხურ მუსიკას. აკადემიური საქმი-

ანობისა და ხალხური მუსიკის ასეთი კომბინაციის დამსახურებაა, რომ მას შემდეგ მე ყოველ წელს ვბრუნდები საქართველოში.


### რამდენად რთული იყო თქვენთვის ქართული ენის შესწავლა?

როგორც მოგეხსენებათ, ქართული ენა საკმაოდ რთული სასწავლია უცხოელებისათვის. მაგრამ მას შემდეგ, რაც დავიწყე ქართული სიმღერების შესწავლა, მათი ტექსტების გასაგებად ჩემთვის აუცილებელი გახდა ენის შესწავლა. როგორც მომღერალსა და დირიჟორს, მე მაქვს ორმოცზე მეტ ენაზე ნაწარმოებების შესრულების პროფესიული გამოცდილება, და ქართული მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო სასიმღერო ენაა. ენის კადენსი ბუნებრივად მუსიკალურია; 5 ხმოვანი ბეჭერა ლიად მუღერია და პირდაპირი; მართალია, ზოგიერთი თანხმოვანი ბეჭერის წარმოთქმა თავდაპირველად რთულია, მაგრამ ქართველებს არა აქვთ გართულება მარცვლის აქცენტირებასა და მის მუსიკალურ შესრულებაზე, რაც ბეჭერ სხვა ენაში გვხვდება, მაგალითად რუსულ ში.

ჩემთვის ქართული ენის შესწავლას ართულებდა კარგი სახელმძღვანელოს არარსებობა, მაგრამ ეს სირთულე ბრწყინვალე პედაგოგებმა გამიაღვილეს: საქართველოში გამომგზავრებამდე ჩიკაგოში – გოორგი ხელაშვილმა, სიდნადში – შალვა მინდორაშვილმა, და განსაკუთრებით, სახელმწიფო თბილისის კონსერვატორიაში – ქალბატონებმა მანანა ტაბიძემ და მაია კაჭკაჭიშვილმა, რომლებმაც დიდი დახმარება გამოწიეს თარგმანებზე მუშაობისას და ყოველთვის მზად იყვნენ პასუხი გაეცათ ჩემს კითხვებზე. მინდა მადლობა გადავუხადო კონსერვატორიის სტუდენტებს, პედაგოგებსა და თანამშრომლებს, რომლებიც მოთმინებით ისმენდნენ ჩემს ქართულ საუბარს და მეგობრულად მეხმარებოდნენ, როდესაც ვცდილობდი ლექციებზე ქართულად მესაუბრა. ჩემს ურთიერთობას საგუნდო სადირიქორ ფაკულტეტთან მიადვილებდა აჩიკო უშეერიძის დახმარება, რომელთანაც ვსაუბრობდი ქართულგერმანულად. ჩემი 14 წლის ვაჟი ქალენი ჩემთან ერთად სწავლობდა ქართულს და ხშირად ვეყრდნობოდი მის ახალგაზრდულ ლინგვისტურ ნიჭს ჩემი შეცდომების გასასწორებლად.

**რა იყო საქართველოში თქვენი სტუმრობის მიზანი და რამდენად წარმატებული იყო ეს გიზიტი?**

ჩემს სტუმრობას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, გამეზიარებინა ამერიკული საგუნ-



ღო და გოკალურ მუსიკის ჩემებული ცოდნა ჩემი კოლეგებისა და სტუდენტებისათვის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან და, მეორე მხრივ, უფრო მეტი გამეგო და შემესწავლა ქართულ საგუნდო მუსიკაზე, რათა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ცოდნა გამეზიარებინა ამერიკული საგუნდო საზოგადოებისათვის. ვიმედოვნებ, რომ ეს ორივე ამოცანა წარმატებით შევასრულე. მე ჩავატარე ლექციები კონსერვატორიაში, და ნოტებისა და წიგნების კოლექცია (ძირითადად ამერიკული, და ნაწილობრივ კანადური და ლათინურ ამერიკული მუსიკა) გადავეცი კონსერვატორიის ბიბლიოთეკას. საქართველოში ჩემი საქმიანობის პირველი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იქნება International Choral Bulletin-is (საერთაშორისო საგუნდო ბიულეტენი) მომდევნო ნომერი, რომელიც გამოვა ამა წლის ოქტომბერში და რომელიც ეძღვნება ქართულ მუსიკას. მე ვარ ამ ნომრის მიწვევული რედაქტორი. უკვე დავასრულე მრავალი ქართული პროფესიული საგუნდო ნაწარმოებების ნოტირება; ამჟამად ვთანამშრომლობ ქართველ კომპოზიტორებთან, რათა მოვახერხო ამ კრებულის გამოცემა ამერიკაში.

**რამდენად განსხვავდება ქართული საგუნდო მუსიკის შესრულების მანერა ზოგადი აკადემიური მანერისაგან?**

ტექნიკა მართლაც საკმაოდ განსხვავებულია. ვგულისხმობ არტიკულაციას, ხორების მდებარეობას, პირის მოძრაობასა და სხვა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ქართველებისათვის ეს ბუნებრივია და ისინი სულაც არ ფიქრობენ ხალხური ვოკალური ტექნიკის მექანიზმებზე. არსებობს აშკარა განსხვავება ხალხური სიმღერისა და აკადემიურ საგუნდო მანერას შორის თბილისის კონსერვატორიაში. მაგრამ მე მაინც შევამჩნიე მსგავსება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სრულდება ისეთი კომპოზიტორების ნაწარმოებები როგორიცაა ზაქარია ფალიაშვილი ან შალვა მშევლიძე, რომელთა კომპოზიციებმა განიცადეს ხალხური მუსიკის გავლენა.

რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე ძლიერი მუსიკალური შთაბეჭდილება ან რა არის თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა (არა მაინც დამაინც მუსიკალური) თქვენი თბილისში ყოფნის დროს?

განმაცვიფრა იმან, რომ სიმღერა ჯერ კიდევ არის ბეჭრი ქართველის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სუფრასთან, სხვა სოციალური დონისძიებების დროს, სოფლად თუ ქალაქში, ხალხი ყველგან მღერის. ეს ყოველთვის არ არის ქართული ხალხური მუსიკა და ხშირად არ შეესაბამება ავთენტიკურობაზე მუსიკისმცოდნეობის სტანდარტებს, მაგრამ ის არის თავისუფალი, სპონტანური და გულიდან მოდის. ეს სპონტანურობა რთულია პროფესიონალი მუსიკოსებისათვის, რომლებიც ხშირად აქცენტს შესრულების ხარისხზე აკეთებენ. კონსერვატორიის დერეფენციური კი ხშირად ისმის სტუდენტების მიერ ნამღერი ხალხურ სიმღერები. ჩემი აზრით, ეს შესანიშნავია და ხელს უწყობს „მოყვარულის“ გრძნობის შენარჩუნებას მუსიკაში. სიტყვაში „მოყვარული“ მე გგულისხმობ სიყვარულის გრძნობას, რაც ყველა კარგ მუსიკაში არსებობს დამოუკიდებლად იმისა, მის შესრულებაში ფულს გვიხდიან თუ არა.

**როგორია თქვენი მომავალი გეგმები ქართულ მუსიკალურ კულტურასთან დაკავშირებით?**

როგორც უკვე აღვნიშნე, ვცდილობ ამჟრიელებისათვის ხელმისაწვდომი გავხადო ქართული მუსიკა. ამისათვის მე ვაპირებ კონფერენციებზე წარდგენას, შესრულებას და კრებულების გამოცემას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ დამიგეგმავს საქართველოში დაბრუნების თარიღი, დარწმუნებული ვარ, რომ დავბრუნდები ახალი პროექტებით ან გაცვლით პროგრამებით.

**რას უსურვებდით ქართველ მუსიკოსებს და მუსიკისმცოდნებს?**

მინდა მათ ვუსურვო მატერიალური მხარდაჭერა, რაც ასე სჭირდებათ მუშაობაში, სიბრძნე, რომელიც ასე აუცილებელია სტანდარტებისა და ტრადიციების შენარჩუნებისათვის, გულდიაობა, რაც მათ დაეხმარება თავისი ნაწარმოებების მსოფლიოსათვის წარდგენაში და დიდი გული, რომ ეს ყველაფერი ხალისით განახორციელონ. გაგიმარჯოთ!

**ესაუბრა თამაზ გაბისონია**

ეთნომუსიკოლოგია

## ვოკალური მრავალხმიანობის გავრცელება მსოფლიოს ტრადიციულ მუსიკალურ კულტურებში

იოსებ ჟორდანია

მელბურნის უნივერსიტეტი,  
ავსტრალია

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ  
ბიულეტენის წინა ნომერში)

ა ფ რ ი კ ა. აფრიკა არის ტრადიციული მრავალხმიანობის გავრცელების გმოგრაფიულად ყველაზე დიდი და ყველაზე აქტიური რეგიონი. აფრიკა ტრადიციულად იყოფა ორ დიდ რეგიონად: (1) სუბ-საჰარის აფრიკა და (2) ჩრდილოეთ აფრიკა. მრავალხმიანობის გავრცელების თავისებურებებს თუ გავითვალისწინებთ, გამართლებული იქნება აფრიკაში გამოვყო კიდევ მესამე რეგიონი – საჰარის უდაბნო.

სუბ-საჰარის აფრიკა ვოკალური მრავალხმიანობის ტრადიციის გავრცელების მსოფლიოს ყველაზე დიდი ერთიანი რეგიონია. საჰარის სამხრეთით მდებარე ფაქტობრივად ყველა ენობრივი ოჯახების წარმომადგენლები მდერიან მრავალხმიანად. რესპონსორული კითხვა-პასუხის სოლისტები და გუნდს შორის განსაკუთრებით ფართოდა გავრცელებული. აფრიკული მრვალხმიანობის ძირითადი კომპოზიციური პრინციპია ხმათა პარალელური მოძრაობა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს აფრიკული ენების ტონურ ბუნებასთან. ეთნომუსიკოლოგებს შორის ფართოდ მიღებული გერმანდ კუბიკის ნაშრომის მიხედვით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აფრიკულ მრავალხმიანობაში ხმათას გვლის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ხმების პარალელური მოძრაობა, რომელშიც ნებისმიერ ორ მეზობელ ხმას შორის ყოველთვის არის ბერების გარეთ ბერების გამორვებული. ამ პრინციპის გამო, თუ სიმღერა აგებულია სრულ დიატონურ ბერებით გვეკნება პარალელური სამხმოვანებებით მოძრაობა, ექვსტონიან (ჰექსატონიკურ) კილოში (ყველაზე პოპულარულია მაჟორული კილო მეშვიდე საფეხ-

ურის გარეშე) გვექნება პარალელური ტერციები და ზოგჯერ – პარალელური კვარტები, ხოლო პენტატონიურ ბერეათრიგში კი გაბატონებულია პარალელური კვარტები და ზოგჯერ ჩნდება იზოლირებული ტერცია. კონსონანსები (განსაკუთრებით ტერციები და სამხმოვანებები) წარმოადგენს ხმათა ვერტიკალური კოორდინაციის საფუძვლებს, და ბურდონი როგორც მრავალხმოანობის საკომპოზიციო პრინციპი, ფაქტობრივად არ გვხვდება ამ უზარმაზარ რეგიონში.


პოლიფონიისა და პარმონიული საწყისის უდიდესი მნიშვნელობის გამო აფრიკული მუსიკის ერთ-ერთმა პირველმა აღგილობრივმა მუსიკოლოგმა ჯორჯ ბალანტამ (დაბ. 1894 წელს) გამოიტქვა ცნობილი (თუმცა საგამათო) მოსაზრება, რომ „ყველა აფრიკული მელოდია აგებულია პარმონიულ საწყისზე“.

აფრიკული ტრადიციული მუსიკა ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო კარგად დოკუმენტირებულად. ალან ლომაქესმა გამოაცხადა რომ „აფრიკა ყველაზე კარგად არის ჩაწერილი ყველა კონტინენტს შორის“. აფრიკული მუსიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი საექსპედიციო ჩანაწერები გაკეთებული აქვს პიუ ტრეისის, რომელიც აფრიკულ მუსიკას, უპირველეს ყოვლისა, მისი ესთეტიკური ღირებულების გამო აფასებდა.

აფრიკის ალბათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გავლენიანი მრავალხმიანი ტრადიცია გვხვდება ცენტრალური აფრიკის პიგმებში და სამხრეთ აფრიკის ბუშმენებში (ანუ სანებში, როგორც მათ ხშირად უწოდებენ). განსაკუთრებით განვითარებულია აქ იოდლის (კრიმანჭულის საერთაშორისო სახელწოდება) ტრადიცია, რომელიც ზოგჯერ რვა სხვადასხვა იოდლის ერთობლივ ხმოვანებაზეა აგებული. ეთნომუსიკოლოგებს შორის მიღებული მოსაზრების მიხედვით, აფრიკის მუსიკალურ კულტურათა დიდ ნაწილს აშკარად ეტყობა პიგმების და ბუშმენების მრავალხმიანობის გაფლენა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით (ი. გრიმო, ა. რუექ, ა. ლომაქესი) პიგმებისა და ბუშმენების მრავალხმიანობას საერთო ძირები აქვს.

სოლო მრავალხმიანობა, ანუ ობერტონული სიმღერა ასევე გვხვდება აფრიკაში, თუმცა მხოლოდ ორ იზოლირებულ რეგიონში – ხოსას ტომში სამხრეთ აფრიკაში და ვაგონს ტომში ცენტრალურ ტანზანიაში. ეს მოვლენა ფართოდაა გავრცელებული ცენტრალური აზიის კულტურებში.

ასალი აფრიკული მუსიკა, რომელიც აგებულია ევროპულ მუსიკალურ საკრავებზე, მაჟორ-მინორულ პარმონიულ სისტემაზე, და აფრიკული ტრადიციული მრავალხმიანობის პრინციპებზე (სადაც წამყვანია ხმების პარალელური მოძრაობა)



### იოსებ უორდანია

დინამიურად ვითარდება. პოპულარული მუსიკის შესწავლა აფრიკაში ეთნომუსიკოლოგის მნიშვნელოვანი სფერო გახდა, განსაკუთრებით 1980-იანი წლებიდან.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აფრიკულმა მუსიკალურმა კომპონენტმა უდიდესი როლი ითამაშა მთელი რიგი ჩრდილოეთ, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მუსიკალური კულტურების ჩამოყალიბებაში. მე-17-მე-19 საუკუნეების განმავლობაში მონებად ჩამოყვანილმა აფრიკულმა მოსახლეობამ (ძირითადად აფრიკის დასავლეთ სანაპიროდან) თან ჩამოიტანა მრავალხმიანობის ცოცხალი ტრადიცია და მონობის გაუქმების შემდეგ მათ წამყვანი როლი ითამაშეს აღგილობრივი მუსიკალური კულტურების განვითარებაში.

ჩრდილოეთ აფრიკა ძირითადად შედგება ეგვიპტი წოდებული მონოდიური კულტურებისაგან. კულტურულად და ენობრივად ეს რეგიონი არის დიდი არაბული სამყაროს ნაწილი და განსაკუთრებული სიახლოეს აქვს წინა და მცირე აზიის თანამედროვე კულტურებთან. შესაბამისად, ჩრდილოეთ აფრიკა არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ერთხმიანი რგიონი, სადაც ფართოდაა განვითარებული სოლო პროფესიონალი მუსიკოსების საშემსრულებლო ტრადიცია, ვირტუოზული მუსიკალური საკრავები და დახვეწილი თეორიული ტრაქტატები კილოური და მელოდიური სისტემების შესახებ.

საპარა. მიუხედავად იმისა, რომ საპარის უდაბნო და მიმდებარე ტერიტორიები ტრადიციულად ჩრდილოეთ აფრიკის შემადგენელ ნაწილად აღიმება (ალბათ რელიგიური ერთობის გამო), მუსიკალურად ეს რეგიონი პრინციპუ-

ლად განსხვავდება როგორც ჩრდილოეთ აფრიკისაგან, ისე სუბ-საჰარის აფრიკისაგან. საჰარის უდაბნოსა და მიუვალი მთების პირობების გამო ეს რეგიონი ძალიან მეჩხერად არის დასახლებული. საჰარა არის რეგიონი, სადაც დღესაც სახლობენ ტუარეგები და ბერბერები, რომლებსაც ოდესდაც მთელი ჩრდილოეთ აფრიკა ეკავათ ხმელთაშუა ზღვამდე არაბული ტომების შემოჭრის მერე ტუარეგებმა და ბერბერებმა თავი შეაფარეს საჰარის არასტუმართმოყვარე სივრცეებს, და დღემდე შემოინახეს კულტურის უნიკალური ელემენტები. კოკალური მრავალხმიანობა წარმოადგენს ტუარეგების და ბერბერების ტრადიციული კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

უაღრესად საყურადღებოა, რომ ტუარეგების და ბერბერების მრავალხმიანობას არა აქვს არავითარი სიახლოვე საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის მოსახლეობის მდიდარ მრავალხმიან ტრადიციებთან. ამავე დროს, ტუარეგების და ბერბერების მრავალხმიანობა აშკარა პარალელებს ავლენს ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ (ევროპულ) ნაწილში შემორჩენილ მრავალხმიან ტრადიციებთან. განსაკუთრებით საინტერესოა ბურდონის (უფრო ზუსტად რეჩიტაციული ბურდონის) უდიდესი როლი როგორც ევროპული ხმელთაშუაზღვისპირების, ისე ტუარეგებისა და ბერბერების მრავალხმიან ტრადიციებში.

აქვე საჭიროა ვასხენოთ ძველი ეგვიპტის მუსიკალური კულტურაც. მართალია, ძველი ეგვიპტიდან ჩვენ არა გვაქვს იმდენი ცნობები, რამდენიც, მაგალითად, ძველი წინა აზიიდან ან ჩრდილოეთ ევროპიდან, მაგრამ მაინც არის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ მრავალხმიანობა არ იყო უცხო ძველი ეგვიპტის მუსიკალური კულტურისათვის. პეირონიმიული (ხელების მომრაობის) გამოსახულებების ანალიზზე დაყრდნობით პირანდელი წამოაყენა მოსაზრება, რომ ძველ ეგვიპტში გავრცელებული იყო ბურდონული ორხმიანობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბურდონული მრავალხმიანობა დღესაც ფართოდ არის გავრცელებული ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვისპირებში (და საერთოდ ევროპაში), ისევე როგორც ტუარეგების და ბერბერების მუსიკალურ კულტურებში, ძველ ეგვიპტეში ბურდონული მრავალხმიანობის არსებობა კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს.

**ე გ რ თ ა. მრავალხმიანობის გავრცელების მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი მსოფლიოში არის ევროპა, თუმცა სუბ-საჰარის აფრიკისაგან განსხვავებით, ევროპა არ წარმოადგენს მრავალხმიანობის გავრცელების**

ერთიან უწყვეტ რეგიონს. ევროპული მრავალხმიანობის რეგიონებზე თვალის ერთი გადავლებაც ადვილად დაგვარწმუნებს, რომ მრავალხმიანი კულტურები ევროპაში თავმოყრილია რამდენიმე გეოგრაფიულად იზოლირებულ რეგიონში.

ხმელთაშუაზღვისპირები და მიმდებარე ტერიტორიები ევროპული მრავალხმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მრავალხმიან კულტურათა დიდი ნაწილი აქ მოთავსებულია ორი ტიპის გეოგრაფიულ გარემოში – მთებში და კუნძულებზე. ხმელთაშუაზღვისპირების კუნძულებს შორის კორსიკა და სარდინია განსაკუთრებით მდიდარია მრავალხმიანი ტრადიციებით. რაც შეეხება მთიან რეგიონებს, ფაქტობრივად ყველა მეტ-ნაკლებად მთიან რეგიონში – პირინეებიდან დაწყებული, ალპებისა და ბალკანების გავლით, კავკასიის მთების ჩათვლით კვედებით მრავალხმიანი კულტურების ჯაჭვს.

დღეისათვის ევროპაში არსებული მრავალხმიანი კულტურების დიდ ნაწილს აშკარად ეტყობა ევროპული პროფესიული მუსიკის და მაურ-მინორული სისტემის გავლენა. იმ ეგვიპტებშიც კი, სადაც მრავალხმიანობის ძველი ფორმები საგმაოდ კარგად არის შემონახული (კავკასიაში, ბალკანებში და ნაწილობრივ - ალპებში), მაინც არის და იზრდება ევროპულ მაურ-მინორულ სისტემაზე დაყრდნობილი მრავალხმიანობის ფორმები, სადაც წამყვანია სამხმოვანებები, პარალელური ტერციებზე და ა.შ. აგებული პარმონიები.

მიუხედავად მრავალხმიანობის კერძის იზოლირებულობისა, მისი ადრეული ფენები აშკარა სიახლოვეს ავლენენ ერთმანეთის მიმართ მთელს ევროპაში. ეს სიახლოვე გლინძება, უპირველეს ყოვლისა, ორ ფაქტორში – (1) ბურდონის ფართო გამოყენება, და (2) ხმათა ვერტიკალური კოორდინაცია დისონირებულ ინტერვალებზე.

იგივე ძირითადი ნიშნებით ხასიათდება აგრეთვე ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის მრავალხმიანი კულტურების უდიდესი ნაწილიც. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: ლატვიური ბურდონული სიმღერები პატარა დიაპაზონის განმეორებადი მელოდიებით, ლიტვური სუტარტინესი სეკუნდების განუწყვეტელი ხმოვანებით, ბურდონზე, სეკუნდებსა და კვარტებზე აგებული ბალკანური მრავალხმიანობა, პოლესიეს და ზოგიერთი სხვა სლავური რეგიონების ბურდონული სიმღერები პატარა დიაპაზონის მელოდიებით, მორდოვული ფართო დიაპაზონის პენტაგონური მრავალხმიანობა და კავკასიური ორ-სამ-ოთხხმიანობა (ეს უკანასკნელი მხოლოდ საქართველოში), სადაც ბურდონი და დისონანსური აკორდიკა უდიდეს როლს თამაშობს.

ჩრდილოეთ ეკროპა სკანდინავიიდან ისლანდიამდე, აქ განვენილი კუნძულების ჩათვლით, ეკროპული მრავალ ხმიანობის გავრცელების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, თუმცა მთელი რიგი კულტურებისა უფრო წერილობითი წყაროებიდან არის ცნობილი ჩვენთვის, ვიდრე თანამედროვე საექსპედიციო ჩანაწრებიდან. ეს წყაროები მოიცავს მთელ რიგ წერილობით ცნობებს, დაწყებული ისლანდური საგებიდან დამთავრებული შუასაუკენების ტრაქტატებით, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ჩრდილოეთ ეკროპაში არსებული მრავალ ხმიანი სიმღერის ტრადიცია (ხმების სახელების ჩათვლით).

**ა ზ ი ა.** მთლიანობაში თუ განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ აზიის მუსიკალურ კულტურათა დიდი ნაწილი ერთხმიან სასიმღერო ტრადიციებს უჭირავს, თუმცა მრავალ ხმიანობას ვხვდებით რამდენიმე რეგიონში.

ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეგიონად, სადაც მრავალ ხმიანობას ვხვდებით, ალბათ, უნდა ჩაითვალოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. ეკროპის მსგავსად, ეს რეგიონიც არ წარმოადგენს მრავალ ხმიანობის გავრცელების ერთიან არეალს, არამედ ცალკეული რეგიონების ჯაჭვებს. ამათში შედიან სამხრეთ-დასავლეთი ჩინეთის ნაციონალური უმცირესობები (25 ჯგუფი, რომელთაგან ზოგიერთი თავისთავად მრავალ მილიონიან მოსახლეობას მოიცავს), და ცენტრალური და ჩრდილოეთ ვიეტნამის ნაციონალური უმცირესობები (ძირითადად სულ მთიანი რეგიონების მოსახლეობა). მრავალ ხმიანობა ასევე გავრცელებულია ინდონეზიის ზოგიერთ კუნძულებზე (განსაკუთრებით კუნძულ ფლორესზე). კუნძულ ტაივანის მთიანი აბორიგენული მოსახლეობის (ტომები ამი, ბუნუნი, პაივანი) მუსიკალური კულტურები ვოკალური მრავალ ხმიანობის გავრცელების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არეალია.

იაპონიის პირველი მოსახლეების, აინების მრავალ ხმიანობა, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე იზოლირებულად შეიძლება ჩაითვალოს. აინები დღეისათვის ცხოვრობენ კუნძულ ხოკაიდოზე, სახალინზე და კურილის კუნძულებზე. აინების მრავალ ხმიანობა ფართოდ ეყრდნობა კანონის პრინციპს.

მრავალ ხმიანობის ტრადიციებს ვხვდებით აგრეთვე ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში. ესენია ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთი (ასამი), სამხრეთ ინდოეთის ტომები, და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის მთიანი რეგიონები (ჯამუ, კაშმირის ირგვლივ). აღმოსავლეთ ავღანეთის მიუვალ მთებში მოსახლე ნურისტანელები საინტერესო (ეკროპული ტიპის) ვოკალური მრავალ ხმიანობის კიდევ ერთი იზოლირებული რეგიონია.

ცნეტრალურ აზიაში ვხვდებით უნიკალური სოლო მრავალ ხმიანობის ტრადიციას, რომელსაც ხშირად მეცნიერულ წრებში „ობერტონულ სიმღერას“ უწოდებენ. ამ მოვლენის თვდაპირველი სახელწოდება „ხოომეი“ მოდის მონღოლური ტერმინიან, რაც ნიშნავს „ყელ“ (რამაც გამოიწვია გაუმართლებელი სახელწოდების „ყელის მიერი სიმღერის“ დამკვიდრება ყოფილ სსრკ-ში და ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში). ობერტონულ სიმღერაში შემსრულებელი მდერის საეციფიკური დაბაბული ხმით გაბმულ ბეგრას (ბურდონს) და ამ ბეგრის საფუძველზე არსებულ ობერტონებს იყენებს (ძირითადად მე-6 - მე-12 ობერტონს) სტენისმაგვარი მელოდიის სამღერლად. საინტერესოა, რომ მუსიკალურ კულტურაში პენტატონიკური კილოური სისტემის არსებობის გამო შემსრულებლები თავიდან იცილებენ იმ ობერტონებს, რომლებიც არ შედიან ობერტონულ ბეგრათორიგში (ასეთია მე-7 და მე-11 ობერტონები). ეს სასიმღერო სტილი (უფრო სწორად, სტილების ჯგუფი) განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ტუფის დასავლეთ ნაწილში, დასავლეთ მონღოლეთში, ალტაის მთებში, ხაკასიაში, ბაშკირეთში და უზბეკეთში. ძალიან შორეულად მიმსგავსებული სასიმღერო სტილი (სადაც ასევე იყენებენ ობერტონებს) გვხვდება აგრეთვე ტიბეტელი ბუდისტების გალობაში და აფრიკაში – ხოსას და გაგოგოს ტომებში. საეციფიკური „ვოკალური თამაშები“, რომლის ღროსაც ორი ქალი დგება ერთმანეთთან ძალიან ახლოს და ერთმანეთის პირის ღრუს იყენებენ ობერტონების შესაქმნელად, გვხვდება იაპონიაში მცხოვრებ აინებში და ჩრდილო-აღმოსავლეთ კანადის ესკიმოსებში.

ვოკალური მრავალ ხმიანობის ელემენტები აგრეთვე დაფიქსირებულია ანატოლიაში (თურქეთში), სპარსეთის ყურის მეთევზებში, ერაეში და სპარსეთის ყურეში მცხოვრებ ე.წ. ჭაობის არაბებში (რომლებიც ძველი შუმერების შთამომავლებად ითვლებიან). მრავალ ხმიანობის ტრადიციების არსებობა ამ რეგიონში განსაკუთრებით საინტერესოა უმველესი წინა აზიის მუსიკალური კულტურის შესახებ არსებული მონაცემების შექმნა. ეს განსაკუთრებით შეეხება შუმერებისა და ხეთების მუსიკალურ კულტურებს. აქ იგულისხმება მრავალ ხმიანი ორმაგი ჩასაბერი საკრავების ფართო გავრცელება (სადაც ხშირად ერთი მილი ბურდონია, მეორე კი მელოდიურია), სატარო გუნდების არსებობა (სახელწოდებით "ნარ-ნარი"), ასევე ტაძრებში ნაპოვნი „მომღერალი თავების“ მრავალრიცხოვანი ქანდაკებები, და რაც მოავრია, მუსიკალური დამწერლობის (ალფაბეტური) კაცობრიობის ორი უმველესი ნიმუში, რომლებზეც ჩაწერილია შუმერული და ხეთური ორი და სამხმიანი რელი-

გიური მუსიკა. ყოველივე ეს მიგვითოთებს იმაზე, რომ ამ რეგიონში 4000-5000 წლის წინ უკვე კარგად იყო განვითარებული მრავალხმიანი სიმღერა.

ძალზე საინტერესო ბურდონული სამხმიანობა დღემდე არის შემორჩენილი აღმოსავლეთ აღლანეთში ნურისტანელებს შორის.

**ა მ ე რ ი პ ა. როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი ამერიკა ძირითად დასახლებულია ვოკალური ერთხმიანობის მატარებელი ტომებით, თუმცა ზოგიერთ რეგიონში მრავალხმიანობის ცალკეულ კერძებაც ვხვდებით. ჩრდილოეთ ამერიკაში, ალბათ, მრავალხმიანობის გავრცელების შევლაზე მნიშვნელოვანი რეგიონია ეწ. ბრიტანეთის კოლუმბია (კანადის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი) და კალიფორნია. ბრიტანეთის კოლუმბიაში მცხოვრები ნუტკა, ტვაკიუტლი და სელიშის ტომების ინდიელების სიმღერაში ვხვდებით ვოკალურ მრავალხმიანობას (მათ შორის ბურდონის ნიშნებსაც). ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-ცენტრალური კალიფორნიის ინდიელების სიმღერაში ასევე ვხვდებით მრავალხმიანობას. ისტორიული წყაროების მიხედვით მრავალხმიანობა ასევე ვხვდებოდა კალიფორნიის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ტომების ტრადიციულ მუსიკაც.**

რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკის სხვა რეგიონების ინდიელების ტრადიციულ მუსიკას, აქ ფართოდა გავრცელებული სოციალური პოლიფონია (უნისონური სიმღერა) და განსაკუთრებით ხშირია სოლისტისა და უნისონური გუნდის მონაცელებაზე აგებული სიმღერები.

მრავალხმიანობის ელემენტები უფრო ფართოდა გავრცელებული სამხრეთ ამერიკის ინდიელების მუსიკაში. მრავალხმიან ტრადიციათა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ამაზონის ინდიელებში და ანდების მთებში) აგებულია თავისუფალ ჰეტეროფონულ ფაქტურაზე. კანონზე აგებული მრავალხმიანობა ვხვდება პერუში მცხოვრები ამაზონის აუზის ინდიელებში და ვენესუელაში. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს პერუს მაღალმთიან რეგიონში, კუსკოს აღმოსავლეთით მცხოვრები კეროს ტომის სასიმღერო შემოქმედება, რომელშიც ვხვდებით სამხრეთ ამერიკის ინდიელთა მუსიკისათვის არადამახასიათებელ უნიკალურ ნიშნებს (განსაკუთრებით საყურადღებოა ვოკალური ბურდონის ნიშნების არსებობა).

ამერიკაში მრავალხმიანობის გავრცელების შესახებ საუბარი არ იქნება სრულყოფილი, თუ არ მოვხეხნიებით ძველი ცენტრალური ამერიკის ცივილიზაციების მუსიკალურ კულტურებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მრვალხმი-

ანი ჩასაბერი საკრავების ფართო გავრცელება ამ კულტურებში. ასობით სხვადასხვა ფორმის და კონსტრუქციის ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი ფლეიტები იქნა აქ ნაპოვნი არქეოლოგების მიერ. ამ საკრავების კონსტრუქცია ეჭვს არ ტოვებს, რომ ამ კულტურებში ჩასაბერ საკრავებში ფართოდ იყო გავრცელებული ბურდონულ მრავალხმიანობაზე აგებული ორ- სამ- და ოთხსმიანი მუსიკა (ზოგჯერ ორმაგი ბურდონიც გამოიყენებოდა). არის ფრიად საინტერესო კონსტრუქციის საკრავებიც, რომლებიც მიუთითებენ მრავალხმიანობაში პარალელური სეკუნდების გამოყენებაზეც. როგორც ადრევე მქონდა აღნიშნული, მთელი მსოფლიოს მაშტაბით შეინიშნება პარალელები ვოკალურ მუსიკასა და ჩასაბერ საკრავებზე შესრულებულ მუსიკას შორის. თუ ამას გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური ამერიკის ძველი ცივილიზაციებისათვის არ უნდა ყოფილიყო უცხო ბურდონზე აგებული ვოკალური მრავალხმიანობა, რომელშიც ხმებს შორის დისონანსური შეფარდება გამოიყენებოდა.

ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქალაქებში, სადაც ერთმანეთშია შერეული ადგილობრივი (ინდიელების), ევროპული და აფრიკული წარმომავლობის მოსახლეობა, თანამედროვე მრავალხმიანი სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ რეგიონებს, სადაც დიდი კუთრი წონა უჭირავს აფრიკული წარმომავლობის მოსახლეობას (მაგალითად, ბრაზილიის ჩრდილო-დამოსავლეთში, ანდა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში). როგორც წესი, მრავალხმიანობა აქ ეყრდნობა ევროპულ პარმონიულ სისტემას.

**ა მ ს ტ ა ლ ი პ ა. ავსტრალიელ აბორიგენთა მუსიკალური კულტურა ძირითადად ერთხმიანია, თუმცა ჯგუფური სიმღერა უნისონურ და უნისონურ-ჰეტეროფონულ ფაქტურაში აქაც ფართოდ არის გავრცელებული (განსაკუთრებით ცენტრალურ და სამხრეთ ავსტრალიის აბორიგენულ ტომებში). ჩრდილოეთ ავსტრალიის აბორიგენულ მოსახლეობას აშკარად ეტყობა ავსტრალიის ჩრდილოეთი მდებარე კუნძულებთან კონტაქტების კვალი. ამ კონტაქტების შედეგია, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ ავსტრალიაში გავრცელებული ჩასაბერი საკრავი დიჯერიდუ. ესაა ავსტრალიის აბორიგენთა მუსიკალურ კულტურაში არსებული ერთადერთი ჩასაბერი საკრავი (საკრავის ადგილობრივი სახელია იუდაკი), რომელიც აღმართ მსოფლიოს ერთ-ერთ რეგისტრულად ყველაზე უფრო დაბალ ბურდონულ საკრავად უნდა ჩაითვალოს. დიჯერიდუს და მომღერლის**

ერთობლივი შესრულება კოკალურ-საკრავიერი ბურდონული მრავალხმიანობის საინტერესო ფორმას ქმნის.

ო გ ე ა ნ ი ა. ოკეანია ვოკალური  
მრავალხმიანობის გავრცელების ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე მნიშვნელოვანი რეგიონია მსოფლიოში.  
მართალია, სხვადასხვა „დოზიტ“, მაგრამ მაინც  
სამივე კუნძულის დაჯგუფებაზე (მიკრონეზიაში,  
მელანეზიაში და პოლინეზიაში) გავრცელებუ-  
ლია ვოკალური მრავალხმიანობის სხვადასხვა  
ფორმები. მიკრონეზია უმეტესად ერთხმიანია,  
თუმცა ჯგუფური უნისონური სიმღერა და უნისო-  
ნურ-ჰეტეროფონული სიმღერა აქ ფართოდ არის  
გავრცელებული. მელანეზიის კუნძულები მდი-  
დარია ვოკალური მრავალხმიანობით. აქ ვხვდებით  
როგორც პარალელურ მრავალხმიანობას, ისე  
ბურდონზე და დისონანსურ ინტერვალიკაზე  
აგებულ მრავალხმიანობას. მრავალხმიანი ტრა-  
დიციებით ყველაზე მდიდარია პოლინეზია. ახალი  
ზელანდიელი მაორების გარდა, პოლინეზიის  
ფაქტობრივად ყველა ჯგუფის კუნძულებზე  
ვხვდებით ვოკალურ მრავალხმიანობას, რომელ-  
საც პოლინეზიელთა სოციალურ ცხოვრებაში  
ძალიან დიდი აღილი უჭირავს და რომლის  
შესრულებაშიც საზოგადოების ყველა ფენა  
არის ჩართული. პოლინეზიურმა ტრადიციებულ-  
მა მრავალხმიანობამ დიდი გავლენა განიცადა  
ევროპული მუსიკის მხრიდან, რომელიც ქრის-  
ტიანმა მისიონერებმა შეიტანეს პოლინეზიაში  
ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. აქ მოხდა  
ბოლო პერიოდში შეტანილი არაბული მელოდი-  
ების გამრავალხმიანებაც.

მრავალხმიანობის გავრცელებით დაინტერესებულ მკითხველს შევთავაზებდი გასცნობოდა სხვადასხვა კულტურების მუსიკალურ შემოქმედებას ახლახან ამერიკაში გამოსულ ათტომიან „გარღანდის მსოფლიო მუსიკის ენციკლოპედიის“ საშუალებით. მკითხველს აქვე შეუძლია ნახოს მრავალხმიანობის სხვადასხვა კერების შესახებ გამოცემული ლიტერატურის სიაც. გარდა ამისა, მრავალხმიანობის იმ დროისათვის ცნობილი კერები მიმოხილულია და შეჯამებულია აგრეთვე მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ ორ სპეციალურ მონოგრაფიაში - მარიუს შნაიდერის ორტომეულში "მრავალხმიანობის ისტორია" (პირველად გამოიცა 1934-1935 წლებში, მეორე გამოცემა 1969 წელს. ყველა გამოცემა - გერმანულ ენაზე) და ამ სტატიის ავტორის წიგნში „ტრადიციული ქართული მრავალხმიანობა მრავალხმიან კულტურათა საერთოობისო კონტექსტში. მრავალხმიანობის გენეზისის პრობლემა“ (1989, რუსულ ენაზე).

ეთნომუსიკოლოგია

ქართული სიმღერის  
ახალი როლი თუ მისი  
უძველესი ფუნქციის  
გაგრძელება?

## ფრანგ კეინი და მაჯ ბრეი

რაც ტრაგმას დაუნგრევია,  
ცნობიერ გიბრაციას უშენებია.

ქართველები სიამყით აღნიშნავენ ხოლმე, რომ მტრის უამრავი შემოსევისა და სხვადასხვა კონფლიქტის მიუხედავად, რითაც ასე მდიდარია მათი ისტორია, შეძლეს თავისი კულტურისა და ფასეულობების შენარჩუნება.

საქართველოში ჩასული უცხოელები იხილებიან ქართული საზოგადოების მყარი სტრუქტურით. ისინი ნათლად ხედავენ, რომ აյ ოჯახის, საზოგადოებისა და ეროვნული იგივეობის კონცეპციები ჯანმრთელი და ძლიერია, და თანაც, უმთავრეს ფუნქციას ასრულებს ჩვეულებრივი ქართველის ცხოვრებაში. ისინი ამას ადარებენ თავისი საკუთარი საზოგადოებადმი მათი კუთვნილების გაცილებით სუსტ გრძელობას.

სალხერი სიმღერა – ქართული კულტურის ეს უმთავრესი ელემენტი, რომელზედაც ქართველები უდიდესი სიამაყით საუბრობენ, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ადამიანური კავშირების გაძლიერებაში მთელი ისტორიის მანძილზე. ამის შესახებ საკმაოდ ზუსტად ხშირად თვითონ სიმღერა მოგვითხრობს [ჩაკრულო]: ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია].

1886 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში, რომელშიც იღია ჭავჭავაძე საუბრობს ქართული ხალხური სიმღერის კონცერტით მიღებულ შთაბეჭდილებებზე, ავტორი ხსნის, თუ რა დატვირთვა პქონდა ხალხურ სიმღერას საქართველოში: "სიმღერა, გალობა, სხვა არა არის-რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობბაში, მწყობრი ხმა პშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და საგსებით ადამიანმა გამოსთქას თავისის სულის მოძრაობა და თავისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალკ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უფლ-



ნონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდამწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე დვოთავეურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრივ იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა". ამგვარად, ილია ჭავჭავაძე საუბრობს სიმღერის უნარზე, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას გამოხატოს თავისი მწუხარება და გულისტკივილი.

ფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე ამერიკელ თუ სხვა ქვეყნების ნოვატორ მკვლევარებს ახლა გაცილებით უკეთ ესმით, თუ როგორ უმკლავდებიან ადამიანები და ცხოველები ტრავმას. ზოგიერთი ადამიანი ან ცხოველი ტრავმის შედეგად უფრო ძლიერი ხდება, ზოგიერთი კი მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძევს მისგან გამოწვეულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზიანს. რა ფაქტორები განაპირობებენ მათ გამოჯანმრთელებას ან ტანჯვის დროში გაჭიმვას? ფსიქოლოგ პიტერ ლევინის თანახმად, ერთერთი ფაქტორია ტრავმული მოვლენის „გადამუშავება" მის სრულ ამოწურვამდე – უშუალოდ ტრავმის მოქმედები ან მოგვიანებით – რაც ჯანმრთელობას უნარჩუნებს როგორც ადამიანს, ისე ცხოველს. ტრავმატულ სიტუაციაში ცხოველი ან ადამიანი შესაძლოა ჩაებას „ბრძოლაში" ან „გაიქცეს", ანდა უნებლიერ „გაიყინოს" ანუ გადავიდეს ფიზიკური უმოძრაობის მდგომარეობაში, ხოლო შემდგომ, რყევისა და ვიბრაციის საშუალებით გამოდევნოს ტრავმული ენერგია ორგანიზმიდან. გეპარდის მიერ დაჭრილი ანგილოპა შესაძლოა „გაიყინოს" ან ჰქონდეს

უმოძრაო რეაქცია. თუ მოახერხებს თავის დაფწვევას, ის, ჩვეულებრივ, გაივლის რეევისა და ვიბრაციის პერიოდს და შემდგებ გააგრძელებს ჯანმრთელ ცხოვრებას. თუ ვიბრაციის პროცესი არ შედგება, ანგილოპა დაავადდება და, შესაძლოა, დაიღუპოს კიდევც.

ორგანიზმი, რომელსაც აქვს ტრავმის გადამუშავების მექანიზმი მის სრულ ამოწურვამდე, ჯანმრთელი ორგანიზმია. ამგარადვე, საზოგადოება, რომელსაც აქვს ტრავმის გადამუშავების მექანიზმი მის სრულ ამოწურვამდე, უფრო ჯანმრთელია, ვიდრე ის საზოგადოება, რომელსაც ამის უნარი არ გააჩნია. შესაძლოა თუ არა, რომ ქართული ხალხური სიმღერა და მასთან დაკავშირებული რიტუალები და ტრადიციები აძლევდნენ ქართველებს მათი ისტორიული ტრავმების „მონარქების" შესაძლებლობას და ამით მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას?

სიმღერა, რასაკვირველია, არის ვიბრაციის ფორმა და მისი ადამიანის გულზე ზემოქმედების ძალაზე პოეტები მუდამ წერდნენ. საქართველოში არსებობს სიმღერები, რომლებშიც პირდაპირ არის საუბარი ტრავმულ მოვლენებზე და, როგორც ჩანს, ეს სიმღერები შეადგენენ „სამკურნალო" პროცესის ნაწილს, ე.ი. ისინი აცნობიერებენ მოვლენებს და ხელს უწყობენ მათ გადამუშავებას. ამის მაგალითია „დაჭრილის სიმღერა" („კლდის სიმღერა") ან „ლალეს" ერთერთი ვერსია:

**ლალე, რატომ არ ჩამოიარე, ცრემლიც ბევრი გღვარე.**

**ლალე დამის თორმეტ საათამდე ლამფა გაარყმარე ლალე, წავიდა და ნუდარ მოვა ის წყეული დამე.**

საინტერესოა, რომ ეს სიმღერა, რომელიც ადვივებს მიტოვებულობისა და დაკარგვის გრძნობას, ერთ-ერთი ტიპური სიმღერაა ძეგვის ბავშვთა სახლის ბინადართათვის. ამ ნოვატორულმა ცენტრმა, რომელიც გია რაზმაძემ მცხოვრისთან ახლოს 1990-იან წლებში დაარსა, მიზნად დაისახა მიტოვებულ და ობოლ ბავშვებთან მუშაობა; ყველა ბავშვმა იწვნია საკუთარ თავზე უარყოფა, მიტოვება, განკვეთა და დალატი; ბევრი – სექსუალური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლია. როგორც გია რაზმაძე ამბობს, თავიდან არავის ჰქონდა ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, და ამიტომ მათი მეთოდი იყო მარტივი – მათ ბავშვები სასეირნოდ დაყავდათ ტყეში და მოელ დღეს სიმღერაში ატარებდნენ.

ეს იყო ქართული ფასეულობებისადმი მარტივი მიღვომა: სიტყვებითა და სიმღერით

გამოხატული ბუნებისა და ადამიანური ურთიერთობების სიყვარული და დაფასება. ამ სიმარტივეს, როგორც გია რაზმაძე ამბობს, საფუძვლად უდევს ადამიანური ურთიერთობების შენების, შენარჩუნებისა და აღდგენის შეუცნობელი და არა-სიტყვიერი ნიჭი, რაც ძეგვში მუშაობისა, და ზოგადად საქართველოს მთელი ისტორიის არსეს წარმოადგენს. „ლალე“ მსგავსი სიმღერებით გია რაზმაძე და მისი კოლეგები ბავშვებს აძლევდნენ მათ მიერ განცდილი ტრავმის გაცნობიერებისა და მის მიღმა სიმღერის საშუალებას.

სიმღერა და სეირნობა, შესაძლოა, ასრულებდა იმ „რყევისა და ვიბრაციის“ როლს, რომელიც, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ტრაგიის გადამუშავებისა და ორგანიზმიდან ნერვული ენერგიის გამოდევნისთვისაა აუცილებელი. თუმცა არის ერთი ფაქტორი, რაც ამ შემთხვევას ზემოთ ხსნებული ანტილოპას შემთხვევისაგან განასხვავებს – ერთად სიმღერის პროცესში ჩვენ მარტონი არ ვართ. ანტილოპა თვითონ „არყევს“ თავის თავს, გამოდევნის ტრავმას და უერთდება ჯოგს. ჩვენ, ადამიანებს, ბგერითა და სიმღერით ცნობიერად ერთად „ვიბრირების“ საშუალება გვაქვს. ამ გზით ჩვენ შეგვიძლია ერთდროულად ვიმუშავოთ ჩვენს სხვადასხვა ინდივიდუალურ ტრავმებზე და ამ პროცესში სხვებსაც შევთავაზოთ დახმარება, და თანაც დავფიქრდეთ მთელი საზოგადოების ტრავმულ განცდებზე (სამსედრო თავდასხმა, ბუნებრივი კატაკლიზმები და ა.შ.).

ცნობიერი ვიბრაციისა და ქართული სიმღერის გამოყენება ტრავმებისაგან თავდაღწეულ ადამიანებზე დიდ ბრიტანეთში:

ჩვენს მიერ დიდ ბრიტანეთში ბოლო წლებში ჩატარებული მუშაობა ადასტურებს, რომ ვიბრაცია, ბგერა და ქართული ხალხური სიმღერის ჯგუფური შესრულება ხელს უწყობს ტრავმული მოვლენების გადამუშავებასა და შეკავებული ნერვული ენერგიის ორგანიზმიდან გამოდევნას.

2004 წლის ბოლოს ჩვენ მუშაობა დავიწყეთ ადამიანებთან, რომლებიც ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლის იყვნენ. ჩვენი საქმიანობის ფარგლებში შოტლანდიურ ასოციაციასთან „გადარჩენილთა კავშირთან“ ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობს ჰელენ გილი, ჩავატარეთ გაკვეთილების სერია. ჰელენი თავად ესწრებოდა დია გაკვეთილებს და განცვიფრუბული იყო იმ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცვლილებებით, რომლებსაც თავად განიცდიდა ერთად გაკვეთილის შემდეგ. მან გადაწყვიტა ერჩია სექსუალური ძალადობის სხვა მსხვერპლ-

თათვის, დასწრებოდნენ ხმისა და ქართული სიმღერის გაკვეთილებს.

გაკვეთილების დროს ჩვენ ვატარებთ ვარჯიშებს ცნობიერი ვიბრაციის გამოყენებით (მაგალითად, დილინი/ზუზუნი/ზმული), რასაც შემდგომ მოყვება ქართული ხალხური სიმღერების სწავლა და ერთობლივი შესრულება. ჩვენს გაკვეთილებზე დამსწრე ყველა მსურველი ბავშვობაში იყო უკიდურესი სექსუალური, ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლი, რის გამოც ბევრ მათგანს სერიოზული პრობლემები აქვს მთელი ცხოვრების განმავლობაში, კერძოდ დეპრესია, დარღვევები კვებაში, ალკოლიზმი, ნარკომანია, სუიციდის მცდელობები, ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობა და სხვ. ბავშვობის დროინდელი გამოცდილების შედეგად მათ ხშირად აშინებთ სხვა ადამიანებთან როგორც ფიზიკური (მაგალითად, შეხება), ისე სიტყვიერი კონტაქტის დამყარება.

ჩვენი გაკვეთილების მონაწილეებმა შესძლეს მოულოდნელი გარდატეხის შეტანა თავისი ტრავმების გადამუშავებაში; სიტყვები, რომლითაც ისინი აღწერენ თავის შეგრძნებებს, ძალიან ჰგავს ქართველების (მათ შორის ილია ჭავჭავაძის) მიერ ქართულ სიმღერაზე საუბრისას გამოყენებულ სიტყვებს:

ტ.: „ჩემმა პირველმა გაკვეთილმა კარგად ჩაიარა; როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, მე გადავლახე ბარიერი და ჩემს თავს ტირილის საშუალება მივეცი. მაშინ მე მზად არ ვიყავი სამღერად, მაგრამ ვვარჯიშობდი ბევრასა და ვიბრაციაში. ეს მართლაც შედეგიანია. ჩემი სხეული დამტუხტა ენერგიით, რომლის წყალობითაც მე უფრო მეტად შევიგრძენი თუ ვინ ვარ სინამდვილეში. მოუთმენლად ველოდი მეორე გაკვეთილს. ამ ჯერზეც, ბგერისა და ვიბრაციის საშუალებით კიდევ უფრო წინ წავიწიე; დავუკავშირდი ჩემს შიგნით არსებულ ბავშვს და ვიგრძენი მისი ყველა ტკივილი, გამოუთმელი ტანჯვა და სევდა. შემდეგ, ვაგრძელებდი რა ვარჯიშს, ვიგრძენი დიდი შვება და შემდგომში კიდევ უფრო მეტი ცრემლები, მაგრამ ამჯერად ეს სიხარულის ცრემლები იყო. დღეს თავს არა-ჩვეულებრივად ვვრძნობ და მოუთმენლად ველი შემდეგ გაკვეთილს, სადაც ვიმღერებ ულამაზეს ქართულ სიმღერებს; მათ ადრე მხოლოდ სხვების შესრულებით ვუსმენდი, ვინაიდან მე თვითონ მრცხვენოდა ხმამაღლა მდერა.“

შემდეგ კომენტარში აღწერილია ფიზიკური შეგრძნებები, რომელსაც ბევრი ადამიანი აღმოჩენს თავის თავში ქართული სიმღერების შესრულებისას:

ჯ. „ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა ბანის შემსრულებლების გვერდზე დგომა და მათთან ერთად მდერა. ეს ნოტები ისე ახლოს არიან,

რომ ერთმანეთს აწყდებიან სადღაც დრმად შენს შიგნით; ისინი თითქოს მასაჟს უკეთებენ შენს შიგნეულობას და ამგვარად აღწევენ შენი სხეულის ისეთ დრმა კუნთებს, რომლებსაც იოგას საშუალებითაც კი ვერ წვდები ... ფრთხილად ამოქვთ ისინი ზევით და ესიყვარულებიან მათ, ნაზად ამცნობენ ჩემს სხეულს, რომ მე არ პირველი ვარ და არც უკანასკნელი ვინც განიცადა ეს პარმონიები – ადამიანის (თუმცა ტრაგმირებული ადამიანის) ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი."

ეს არის ბევრი ადამიანის, განსაკუთრებით წარსულში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, სასიმღერო გამოცდილების მნიშვნელოვანი მომენტი. ისინი გრძნობენ, რომ ვიბრაციითა და სიმღერით ძალიან ძლიერი კავშირი მყარდება. ისინი შეიგრძნობენ, თუ როგორ აღწევს მათ სხეულში სხვა ადამიანების ვიბრაციები, მაგრამ ეს კონტაქტი სულაც არ არის საშიში: ბევრისათვის ეს არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. ამგვარად, ბევრი ის ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სხვა ადამიანებისაგან გაუცხოებულმა და შეშინებულმა გაატარა, პოულობს უკან დასაბრუნებელ გზას ადამიანური კავშირებისკენ, რომელიც საიმედო და დამაკმაყოფილებელია.

აი, კიდევ ერთი მათგანის აზრი:

ა. "ზევრჯერ განმიცდია სასმელით, კოკაინით, დიდი სიჩქარით, ალკოჰოლით თავდავიწყების კაიფი, მაგრამ ასეთი, როგორსაც ეხლა განვიცდი, არასოდეს! ჩემს სხეულში თითქოს თბილი ნათებაა, რომელიც ვიბრაციის შემოჭრასთან ერთად უფრო და უფრო მატულობს და ამარცხებს სიბრუნვეს. ეს სიახლოვეა. ეს ისაა, რასაც ახლობლობა ჰქვია!"

და მართლაც, ქართული კულტურა თითქოსდა იმისთვისაა, რომ გააძლიეროს ახლობლობის იდეა და დასძლიოს გაუცხოება. ქართულ სუფრასთან ადამიანები ერთიანდებიან და აერთიანებენ თავის უმთავრეს ფასეულობებს, და ეს სიხარული ასაზრდოებს და კურნავს მათ („გავცოცხლი, შენი ნახვით მე დიდად გავიხარეო . . .”, „დმერთო ნურას ნუ მოუშლი, რაც რომ ჰყავდეს საყვარლები“). ქართული სამეურნალო სიმღერების (როგორიცაა, მაგალითად, „ბატონებო“) მიზანია არა განდევნონ დაავადების გამომწვევი სულები, არამედ მიეფერონ და მიეალერონ მათ ისე, როგორც ყველაზე სასურველ სტუმარს.

უკანასკნელმა თხუთმეტმა წელმა საქართველოს მოუგანა დამოუკიდებლობა, მაგრამ ამას მოჰყვა საზოგადოების დანაწევრება, ახალი სოციალური პრობლემები და საქართველოს ისტორიაში ემიგრაციის ყველაზე დიდი ნაკა-

დი. ამ სირთულეების შუაგულში, რომელსაც საქართველო ჩვენი პლანეტის დანარჩენ ნაწილთან იზიარებს, აუცილებლად გასათვალისწინებელია სოციალური ერთიანობისა და ურთიერთობის ის შეუდარებელი ნიჭი, რომელიც ქართველებს აქვთ და რომელსაც ასე აფასებენ მათი უცხოელი სტუმრები.

ჩვენი აზრით, ეს არის ის უდიდესი განძი, რასაც საქართველო სთავაზობს დანარჩენ მსოფლიოს. ქართველები თავის სუფრას ზოგჯერ ადამიანური ურთიერთობების „აკადემიას“ ან სკოლას უწოდებენ; თვითონ საქართველო კი მთელი მსოფლიოსათვის შეიძლება გახდეს მაგალითი იმისა, თუ როგორ არის შენარჩუნებული ადამიანური ურთიერთობები ცნობიერი ვიბრაციის საშუალებით: ნათქვამი სიტყვით და რაც უფრო მნიშვნელოვანია სიმღერით, რაც ოჯახების, თემებისა და მთელი საზოგადოების ერთიანობის იარაღია; მას შეუძლია შემოგვთავაზოს ტრავმის – ადამიანის არსებობის გარდაუვალი, თუმცა არა მაინცადამაინც დამასახიჩრებელი ნაწილის - გადამუშავებისათვის აუცილებელი გარემო.

დიდ ბრიტანეთში ქართული სიმღერა უკვე თამაშობს მნიშვნელოვანა როლს უკიდურესი ტრაგმაგამოვლილი ადამიანების ცხოვრების შეცვლაში. მისი წყალობით მათ სულებში ინადგურებს შინაგანი სიმჭიდე, რაც ბევრი მათგანის აზრით მიუღწეველი იყო. ჩვენ გვჯერა, რომ მას აქვს ბევრი სხვა სიცოცხლის განკურნებისა და გამდიდრების პოტენციალი მთელს მსოფლიოში და, რაღა თქმა უნდა, თვითონ საქართველოში.

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.“

**„Thee Loving Harmony Initiative“**, ბრიტანული პატარა საქველმოქმედო ორგანიზაცია, დაარსდა 2005 წელს. იგი ესმარება მათ, ვინც უხმოდ იტანჯებოდა და ვინც ახლა ემებს სიმჭიდეს თავის თავში და ძალისა და სისუფთავეს თავის ხმებში. ორგანიზაციას ხელმძღვანელობენ ფრანგ კეიინი და მაჯ ბრეი.

**მაჯ ბრეი** მუშაობს ტრავმის გადამუშავების სფეროში და ქმნის და იყენებს ახლებურ მეთოდებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დასახმარებლად.

**ფრანგ კეიინი**, 1983 წლიდან - ქართულ ხალხურ ტრადიციებთან მისი ნაცნობობის პირველი დღეებიდან, სწავლობს ვიბრაციის ძალასა და როლს პუმანური პარმონიულობის მშენებლობაში.

ქართველი ეთნომუსიკის მცოდნები

## მინდია ჟორდანია (1929-1978)

მინდია ალექსანდრეს ძე ჟორდანია დაიბადა 1929 წელს გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხეულში. მისი მამა ალექსანდრე (იგივე კირილე) 1937 წელს კომუნისტურ ტერორს შეეწირა. რაიონული ცენტრის ხულოს სტამბის ბუღალტერი, შესანიშნავი მოჭადრაკე, შესაძლოა 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ლიდერის – ნოე ჟორდანიას ნათესაობამ შეიწირა. ჟორდანიას ოჯახმა მოგვიანებით მიიღო მისი უდანაშაულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმჟამად კი ოჯახის შენახვა მთლიანად მინდიას დედას – თეალეს დაწვა მხრებზე. იქნებს სწორედ მაშინ შეითვისა ახალგაზრდა მინდიამ შრომისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა. მით უმტკქს, რომ ნოე ჟორდანიას ნათესაობის გამო იგი სკოლაშიც საქმაოდ იჩარებოდა.

მინდია ჟორდანიამ ბავშვობიდანვე გამოამდავნა მუსიკისადმი სიყვარული და აროვესიადაც ოჯახისათვის ეს არატრადიციული პროფესია აირჩია. 1946 წლიდან იგი ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობს, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ირიცხება. „კონსერვატორიაში რომ მივედი, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა იქაურ მოთხოვნებზე“ ამბობდა მინდია თვითონ, „მახსოვს, ფორტეპიანოს გამოცდაზე ბახის პრელუდიისა და ფუნის მაგივრად კოკელაძის გუნდი დაგუკარი. კომისია შეწუხდა, დავენანე, ალბათ და რომ არ ჩავეჭრით, მკითხეს, გამებს ხომ არ უკრავო. გამები კარგად ვიცოდი და კარგადაც დავუკარი. ამოისუნთქეს და ნიშანიც დამიწერეს.“ აქ უკვე მკაფიოდ გამომჟღავნდა მისი მისწავლისადმი, რაშიც დიდი როლი ითამაშა მისმა სამუცნიერო ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩხილებეგმ. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მინდია ჟორდანია თბილისის კონსერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების კათედრაზე რჩება სამუშაოდ. აქ იგი, მისი თაობის მეცნიერებთან – ევსევი (კუბური) ჭოხონელიძესთან, ოთარ ჩიჯვაძესა და კახი როსებაშვილთან ერთად თავდაუზოგავად იღწვის ეროვნული ფოლკლორის დაფიქსირებისა და შესწავლისათვის.

მინდია ჟორდანიას სამეცნიერო ინტერესი ძირითადად ქართული ხალხური მუსიკის კილოს საკითხისადმი იყო მიმართული. მისმა ნაშრომებმა ქართულ სიმღერები პენტატონიკის



ტეტრატონიკის, ლოკრიული კილოს, ალტერაციული კილოს არსებობის შესახებ ახალი მიმართულება შესძინა ქართულ ფოლკლორისტიკას. არა ნაკლებ დიდია მინდია ჟორდანიას, როგორც მკვლევარის, წვლილი ქართული ხალხური მრავალხმიანობის კვლევის საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ნაშრომს „მოქმედისა და მოძახილის ფუნქცია ქართულ ხალხურ სიმღერასა და საგალობელში“.

მინდია ჟორდანია უშუალოდ და კარგად იცნობდა მშობლიურ ხალხურ მუსიკალურ კულტურას. იგი მრავალ საველე-შემკრებლობით ექსპედიციაში მონაწილეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თაოსნობით განხორციელებული ექსპედიციები გუდამაყარში, თიანეთში, ხევში, მთიულეთში, რაჭაში, ლეჩეუმში, კახეთში, გურიაში, ჰქარაში. გამორჩეულია მინდია ჟორდანიას მიღვიმა ხალხური ტრადიციის მატარებლებისადმი. იგი არ იყო გამოდევნებული როლი „საკონცერტო“ რეპერტუარის ჩაწერას, არამედ წინ წამოსწევდა მარტივ მაგრამ ჭეშმარიტად ძირძველ პლასტებს: აკნის სიმღერების, შრომის, სარიტუალო ჟანრს.

მინდია ჟორდანია ქართველ ფოლკლორისტთაგან გამორჩეული პიროვნებაა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში იგი ოცი წლის განმავლობაში ასწავლიდა ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედებას. მას კუთვნის პირველი და, თავისი სისავსით, ჯერჯერობით უმაგალითო

მოგრამა ამ საგანში. მაგრამ ამ მიმართულებით  
მინდია ჟორდანიას მთავარი დამსახურება მაინც  
ახალგაზრდა მუსიკოს-ფოლკლორისტთა მოქლი  
პლეადის გამოზრდა. დღეს მოღვაწე ქართველ  
ეთნომუსიკოლოგთა დიდი ნაწილი, კერძოდ კი  
– ნატალია ზუმბაძე, ნინო კალანდაძე, დავით  
შედლიაშვილი, ნინო შველიძე, ქეთევან ბაიაშვილი,  
ნანა ვალიშვილი, ქეთევან ნიკოლაძე, მარინა  
კვიფინაძე, ქეთევან მანჯგალაძე, და რაც მთავარია,  
ამჟამად ავსტრალიაში მოღვაწე მისი ვაჟი –  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი  
იოსებ ჟორდანია მისი დაფრთხიანებულია. მოკრძა-  
ლებით ვიტყვი, რომ ჩემი, ამ წერილის ავტორის  
პროფესიული არჩევანიც მთლიანად ბატონი მინ-  
დიას მაგალითით იყო განკირობის კვლე.

მინდია ქორდანია ცნობილი იყო, როგორც  
სოლფეჯიოს საგნის უბადლო პედაგოგი თბილისის  
№1 სამუშაკო სახწავლებელ ში, სადაც იგი 1963-  
წლიდან გარდაცვალებამდე ასწავლიდა. მას  
ექუთვნის (ხელნაწერის სახით) 600-მდე ქართული  
თუ ეკროპული სტილის მეთოდოლოგიურად  
მკაცრ სისტემაში მოყვანილი ერთ-, ორ- და  
სამხმიან კარნახთა კრებული. ეს ნაშრომი ავ-  
ტორს მართლაც რომ მუსიკალურ მინაბიურათა  
უნიჭიერეს კომპოზიტორად გვაცნობს.

მრავალი ნიჭით დაჯილდოებული მინ-დია მთელი ცხოვრება იყო დაინტერესებული ჰადრაკით და საჭადრაკო კომპოზიციებით. როდე-საც მაშინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა მიხეილ ტალმა ჩატარა საჭადრაკო სეანსი კონსერ-ვატორიაში, ერთადერთი პარტია წააგო მინდია ქორდანიასთან. „მას სოვე როგორი გახარებუ-ლი იყო მამა“ – იხსენებს მისი ვაჟი იოსებ ქორდანია. როდესაც იგი რამდენიმე წლის შემ-დეგ შეხვდა მიხეილ ტალს მოსკოვში, აღმოაჩინა, რომ მას კონსერვატორიაში მაშინ ნათამაშევი (და წაგებული) პარტია ზეპირად ახსოვდა. ბატონი მინდიას მათემატიკურ ნიჭზე ხომ ლეგენდები დადიოდა.

„შრომა აძლევს ადამიანს როგორც ცხოვრების საშუალებას, აგრეთვე უმაღლეს ბედნიერებას“ – წერდა ერთ-ერთ თავის წერილში მინდია ქორდანია. სწორედ ასეთი, მუდამ მოფუს-ფუსე, კეთილმოსურნე, ქართული მუსიკალური პულტურის ქომაგად დაგვამასხვოვრდა იგი მის მოსწავლებს. რომ არა მისი ნააღმდევი გარდაცვალება, ჰქვებარეშეა, მინდია ქორდანია ბევრად უფრო მეტ და დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე ნაშრომს დაუტოვებდა ქართულ ეთნო-მუსიკოლოგიას.

## მინდია ჟორდანიას ნაშრომები

მოხსენებათა თეზისები:



სელნაწერი შრომები

1. მოდულაციური ფორმები ურმულ სიმღერებში
  2. „ურმულის“ კილოებრივი საფუძვლები
  3. ზეოქტავური კილოები ქართულ ხალხურ მუსიკაში
  4. პენტაგრონიკის შესახებ ქართულ ხალხურ მუსიკაში
  5. მეხურის და მეხელის საკითხისათვის
  6. ქართული პროფესიული მუსიკის წარმოშობის საკითხისათვის
  7. ქართული პროფესიული გალობა (მეხური)
  8. ძველი ქართული პროფესიული მუსიკის განსაკუთრებული ფორმები (ზემრავალხმიანობა)
  9. გურული მუსიკალური დიალექტი
  10. ხევსურული მუსიკა (სადიპლომო შრომა)
  11. მოქმედისა და მოძახილის ფუნქცია ქართულ ხალხურ სიმღერასა და საგალობელში 1971-1972.

## სტატიები ჟურნალებში

1. ქოტე ფოცხვერაშვილი. „საბჭოთა ხელოვნება“ №1. 1957 წ.
2. ქართული საგუნდო მუსიკის ორი კერა. „საბჭოთა ხელოვნება“ №4. 1958 წ.
3. ზაქარია ფალიაშვილის ოპერები საკავშირო სცენაზე „საბჭოთა ხელოვნება“ №11. 1958 წ.
4. ქართული საგუნდო მუსიკის თვალსაჩინო მოღვაწე (კირილე პატკორია) „საბჭოთა ხელოვნება“ №1. 1960 წ.

## გამოქვეყნებული შრომები:

1. „ლოკრიული კილო ქართულ ხალხურ მუსიკაში“, „საბჭოთა ხელოვნება“ №8, №9 1971;
2. პროგრამა სამუსიკო სასწავლებლის კურსისათვის „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“. 1972;
3. „მოძახილი – მაღალი ბანის“ საკითხისათვის. კრებულში: შავერზაშვილი, ალექსანდრე; თუმანიშვილი, ქეთევან და სხვანი (რედკოლეგია). სამეცნიერო შრომები. (გვ. 103-126). თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 1973;

4 ა ს ლ , . ა . ს ა ლ ა ლ ა ლ ა ლ  
 ა ლ ა ლ " ა ლ " . . ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ  
 " ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ ა ლ  
 1973;

5. „ურმულის კილოური საფუძვლები“, „საბჭოთა ხელოვნება“ №9, 1975;

6. „ალტერაციული კილო ქართულ ხალხურ მუსიკაში“, „საბჭოთა ხელოვნება“ №5 1979;

## საველე-შემკრებლობითი მუშაობა

ექსპედიცია გუდამაყარში 1958 წ.

ექსპედიცია თიანეთის რაიონში 1959 წ.

ექსპედიცია სევში 1960, 1977 წ.

ექსპედიცია სევსურეთში 1960 წ.

ექსპედიცია მთიულეთში 1961 წ.

ექსპედიცია რაჭაში 1962 წ.

ექსპედიცია კახეთში 1962 წ.

ექსპედიცია კახეთში 1963 წ.

ექსპედიცია ლეჩხუმში 1965 წ.

ექსპედიცია სვანეთში 1967 წ.

ექსპედიცია აჭარაში 1971 წ.

ექსპედიცია გურიაში 1966-74 წ.

## საველე-შემკრებლობითი მუშაობა

### ფოლკლორისტული ექსპედიცია კახეთის რეგიონში

მიმდინარე წლიდან ტმპსც სერიით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივიდან“ იწყებს მის არქივში დაცული აუდიოჩანაწერების გამოცემას. პირველი კომპაქტდისკი ეძღვნება 1952 წლის კახეთის საექსპედიციო მასალებს. ეს არის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ექსპედიცია სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრიდან, რომელიც პროფესორ გრიგოლ ჩხილაძის ხელმძღვანელობით კახეთის სამ რაიონში – გურჯაანში, თელავსა და ყვარელში მოეწყო. ცხადია, 53 წლის შემდეგ ბეჭრი რამ აღმოჩნდა დასახუსტებელი და მოსაძიებელი – შემსრულებელთა იდენტიფიკაცია, მათი საპასპორტო მონაცემები, ფოტოსურათები და სხვ.

ამ მიზნით 2005 წლის ოქტომბერში ვესტურეთ სამივე რაიონს. პირველ რიგში, მომდერალთა შთამომავლები მოვიკითხეთ. ველისციებში მოვინახულეთ გიგა ღვინიაშვილის შვილი, თამარ ღვინიაშვილი-გაბრუაშვილი. მან გვიამბო მამაზე, მომღერალ დებზე, აგრეთვე მამიდაშვილ გრიშა რიკიაშვილზე, რომელიც მათი საოჯახო ანსამბლის უცვლელი წევრი ყოფილა და 1952 წლის ექსპედიციის სიმღერების ჩაწერაშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ საპასპორტო მონაცემებში დაფიქსირებული არ არის. ველისციებშივე ვესტურეთ შინაგი გურგენიშვილს. მას თავისი ძმის – შუქურის ფანდური აქვს შემონახული, რომლის თანხლებითაც 1952 წელს არის ჩაწერილი „გარეთ ცივა, ქრის ქარი“ (მაშინდელი შემსრულებლებიდან მხოლოდ 81 წლის შუქურია ცოცხალი, რომელსაც მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ გავესაუბრეთ). მანვე გვიამბო თავის მამაზე – ია გურგენიშვილზე, რომელიც წლების განმავლობაში ველისციების გუნდის ხელმძღვანელი იყო; ჩაგვაწერინა მისივე შესანიშნავი ლექსებიც. შევხვდით მხოვან გურჯაანელ მომღერლებს: სახელოვანი ლოტბარის, ლევან მუდალაშვილის, გუნდის ერთ-ერთ უკანასკნელ წევრს, 81 წლის გიორგი გოგო-



**ლევან მუდალაშვილის გუნდი. 1922 წ.**

ლაშვილს; ანსამბლ „გურჯაანის“ წევრს, 80 წლის ვახტანგ ქაჩლიშვილს (მუდალაშვილის შემდგომი პერიოდის მომღერალს) და საინტერესო საუბართან ერთად მათი ნამდერიც ჩავიწერეთ (უახლოეს მომავალში ამ მოუცების ჩაწერა მეტად საშურ საქმედ მიგვაჩნია).

გიორგი გოგოლაშვილის დახმარებით ლევან მუდალაშვილის საფლავსაც მივაგენით. გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუდალაშვილის პირად არქივს გავეცანით და ყმალა მნიშვნელოვანი დოკუმენტი ციფრული ფოტოაპარატით გადავიდეთ (158 ერთეული). ასევე მოვიპოვეთ ოჯახებში შემონახული ფოტოსურათები (46 ერთეული).

ართანაში ვინახულეთ გიორგი სიმაშვილის შვილი, კახური სიმღერის შესანიშნავი მცოდნე ანდრო სიმაშვილი (მასთან ხანგრძლივი და საინტერესო საუბრის შესახებ იხ. „ინტერვიუ ანდრო სიმაშვილთან“, გვ. ??).

ყვარელში რვაცაციანი გუნდის შესახებ ინფორმაციის დასაზუსტებლად მრავალი ჭიშკრის შეღება მოგვიწია. შევხვდით მომღერალთა შთამომავლებს: პელაგია პაპუაშვილს, დოდო გელაშვილს, ილია და რობინზონ გუბელაძეებს, სულიკო მათიაშვილს, ზაურ ღვინიაშვილს, აგრეთვე ენისელ სოფიკო ნასყიდაშვილს (აქ, რასაკირველია, ყველას ვერ ჩამოვთვლით, ვინც თითო სიტყვა მაინც შეგვაწია, მისამართი და-გვიზუსტა, მიგვასწავლა ან სხვა რამ რჩევა მოგვცა – ისინი საკმაოდ ბევრი არიან. ყველა მათგანს მადლობას ვუხდით).

უნდა ითქვას, რომ ექსპედიციის მიზანი – დიდი ხნის გარდაცვლილი ადამიანების შესახებ ცნობების დაზუსტება – გაცილებით ძნელად მისაღწევი აღმოჩნდა. გამოკითხვები ბევრჯერ



**გიორგი სიმაშვილი ოჯახთან ერთად**

უშედეგოდ მთავრდებოდა – ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ თავისი მძიმე კვალი დააჩინა ცხოვრებასაც და კაცთა მესიერებასაც... არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვიპოვეთ სოლომონ ჩახაურის ფოტოსურათი, ვერაფერი დავადგინეთ პართენა არჯევნიშვილის შესახებ. გაურკვეველი დარჩა „ურმულის“ კარდანახელი შემსრულებლის ვინაობაც... თუმცა, ამის მიუხედავად, არცოუ მცირე მასალის ჩამოტანა შევქელით და ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში ექსპედიცია წარმატებული იყო (ჩავიწერეთ 5 მინიდისკი, ხანგრძლივობა – 9 სათი, გადავიდეთ 496 ფოტოსურათი).

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც დახმარება გაგვიწია: გურჯაანის კულტურის განყოფილების გამგეს – თინათინ ზარდიაშვილს, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და მისი ფონდების მცველს – ნათელა რაზმაძეს, ველისციხის საკრებულოს მდივანს – ნინო მინდორაშვილს, ანსამბლ „წინანდლის“ ხელმძღვანელს – ლევან აბაშიძეს, თელავის ლვთაების ეკლესიის მგალობელს – მარინა ალადაშვილს, ყვარლის კულტურის სახლის თანამშრომელს – მაია მამულაშვილს, ყვარლის სამუსიკო სკოლის პედაგოგს – ასმათ ყიფშიძეს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს.

ვფიქრობთ, თუკი საექსპედიციო მასალების გამოცემა გაგრძელდება და სერიის სახეს მიიღებს, არაერთი ასეთი ექსპედიციის ჩატარება მოგვიწევს, რაც ქართული სალხური მუსიკის მონაცემთა ბაზას უაღრესად საჭირო მასალით შეავსებს.

**ქეთევან მათიაშვილი**

## საქართველოს ფოლკლორული კოლექტივები

### საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“

იმ ანსამბლებს შორის, რომლებიც სათუთად ინახავნ და ანგიოთარებენ ხალხური შემოქმედების ტრადიციებს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლ „რუსთავს“.

ანსამბლი „რუსთავი“ შეიქმნა 1968 წელს ქ. რუსთავში. იგი მაღლე გახდა პოპულარული და მას შემდეგ საქართველოში არ ჩატარებულა თოთქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელშიც „რუსთავს“ არ მიეღოს მონაწილეობა.

„რუსთავის“ ხელმძღვანელები არიან საქართველოს სახალხო არტისტები ანზორ ერქომაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე (ქორეოგრაფიის დარგში), ანსამბლის ქორმეისტერია საქართველოს სახალხო არტისტი ბადრი თოიძე.

ანზორ ერქომაიშვილი სამსახურნოვანი შესიკალური დინასტიის მეშვიდე თაობის წარმომადგენელია, მისი წინაპრები საუკეთესო მომღერლები და ლოტბარები იყვნენ. მისი მთავარი სალოცავი ხატიც ქართული ხალხური სიმღერაა, მისი წინაპრებიც ხომ ამ წმინდა ხატებ ლოცულობდნენ. აი, რა დაუბარა ანზორ ერქომაიშვილს მისმა გამზრდელმა ბაბუამ, ცნობილმა ლოტბარმა არტემ ერქომაიშვილმა:

„ანზორ, ბაბუ, შენ მუშიკალური ტრადიციების მატარებელი მეშვიდე თაობა ხარ ჩვენს ოჯახში... ამ სიმღერებს შენახვა უნდა, პატრონბა უნდა... ეს ის სიმღერება, რომელიც არც ფულზე იყიდება და არც ოქროთი აიწონება... რომლის დაკარგვას ერთი არ გვაპატიჟს...“

ტრადიცია უნდა გაგრძელებულიყო და გაგრძელდა კიდევ.

ანზორ ერქომაიშვილი, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, თავის თანამოაზრებთან – კუკური ჭოხონელიძესთან, გომარ სიხარულიძესთან, თემურ ქევიშვილთან, ბადრი თოიძესთან, თამაზ ანდლულაძესთან, მიშა მცურავიშვილთან – ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 1961 წელს გაჟთა ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“ შექმნასა და მუშაობაში. 60-იანი წლების ახალგაზრდებს კარგად ახსოვთ ხალხური სიმღერების „გორდელასეული“ ინტერპრეტაცია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საბჭოთა რეჟიმის



დამყარების შემდეგ, პირველად საქართველოში სცენაზე აქვდედა ძველი ქართული პროფესიული მუსიკის უნიკალური ნიმუშები. ეს იყო ახალი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიული მოვლენა, რომელმაც სიცოცხლის კენ შემოაბრუნა მანამდე ოფიციოზის მიერ აკრძალული საეკლესიო საგალობლები.

1968 წელს ანსამბლი „გორდელა“ ქალაქ სოფიაში მსოფლიო ფესტივალის ოქროს მედალოსანი გახდა.

სწორედ „გორდელა“ გახდათ ერთ-ერთი ის სამირკველი, რომელზეც ანსამბლი „რუსთავი“ აღმოცენდა. მისი დამაარსებელი და დღემდე უცვლელი სამსატვრო ხელმძღვანელი, ანზორ ერქომაიშვილი, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს ძველი ხალხური სიმღერებისა და საგალობლების მოძიება-აღდგნაზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ასევე დაუდალავად მოვაწეობს იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უძველესი ქართული ფონოჩანაწერების მოძიებასა და გამოცემაზე. იგი ქართული მუსიკალური ფოლკლორის დაუდალავი პროპაგანდისტი და არაერთი საინტერესო ნაშრომის ავტორია.

ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე წარსულში „ქართული ნაციონალური ბალეტის“ წამყვანი მოცემავაში-სოლისტი იყო, იგი დღემდე ითვლება საქართველოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცემავედ. მას უმაღლეს შევასებას აძლევენ როგორც დამდგმელ ქორეოგრაფსაც. იგი ქსწრაფვის ქართული ხალხური ცეკვის უძველესი ელემენტების აღდგენასა და კუთხური კოლორიტის შენარჩუნებას. ტრადიცია სულაბერიძის დადგმული ცეკვები თავისივე კუთხის სიმღერებითა და ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდება, იგი ოსტატურად ახერხებს ცეკვების, სიმღერებისა და ხალხური დასაკრავების შერწყმას, რაც უფრო მეტად აძლიერებს ამ ცეკვის კუთხურ კოლორიტს.

„რუსთავში“ მოდგაწეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, მათ ანსამბლში მოაქვთ არა მარტო თავიანთი კუთხის სიმღერები, არამედ ამ სიმღერის ღრმა ცოდნა, მშობლიური კუთხის კოლორიტი, საშემსრულებლო ტრადიციები და სპეციფიკური საშემსრულებლო მანერა. ანსამბლი ცდილობს, ხალხური მუსიკის ნიმუშებს შეუნარჩუნოს პირვანდელი სახე, რათა „რუსთავის“ სიმღერებში კვლავაც იგრძნობოდეს მშობლიური მიწის სურნელი. ამასთან, ანსამბლმა და-ამკიდრა ქართული სიმღერა-გალობის თავისებური მანერა, რომელიც ხალხურთან შედარებით მეტი აკადემიურობითა და დახვეწილობით გამოირჩევა. მის რეპერტუარში განსაკუთრებული აღგილი უჭირავს ამა თუ იმ კუთხის მივიწყებულ სიმღერებს, რომელთა გაცნობა საზოგადოებისათვის ანსამბლის ერთერთი მთავარი ამოცანაა.

„რუსთავის“ წევრები კარგად ფლობენ ქართულ ხალხურ საკრავებს. ანსამბლის წევრები უბადლოდ უკრავენ ფანდურზე, ჩონგურზე, ჩანგზე, სალამურზე, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს და ამდიდრებს ანსამბლის რეპერტუარს. კერძოდ, აღსანიშნავია „რუსთავის“ ხალხურ საკრავთა ტრიო დაკით ყიფიანის, გიორგი ბეგიანიშვილისა და ზურაბ ბაკურაძის შემადგენლობით, ტრიო დიდი წარმატებით გამოდის კონცერტზე.

დაარსებიდან დღემდე, ანსამბლ „რუსთავში“ ოთხი თაობა შეიცვალა. აქ მდეროდნენ შესანიშნავი მომღერლები: პამლეტ გონაშვილი, ანზორ ტუდუში, გაიოზ ასაბაშვილი, ვლადიმერ წივწივაძე, რომლებიც სამწუხაოდ დღეს ცოცხალი ადარ არიან. ამათგან პამლეტ გონაშვილი ხალხის განსაკუთრებული სიყვარულით იყო დაჯილდოებული. ამ უნიკალური სმის (II – დამწყები) მქონე მომღერლის ჩანაწერებიც დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. დღეს ანსამბლის წევრთა უმეტესობას წარმოადგენენ ახალგაზრდები, რომელნიც ბავშვთა ფოლკლორულ კოლექტივებში აღიზარდნენ. ეს კოლექტივები კი იმ პლეადის მომღერლებისაგან შედგება, რომლებიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ანზორ ერქომაზვილის მიერ ჩამოყალიბებულ „მართვეში“ აღიზარდნენ. ეს ახალგაზრდები ანსამბლ „რუსთავის“ მეოთხე თაობას წარმოადგენენ. ესენი არიან: გოგიტა ბუგიანიშვილი, დაკით ქალიაშვილი, ვლადიმერ თანდილაშვილი, დათო გველესიანი, ტარიელ ონაშვილი (გარკვეულ პერიოდში მისი ვაჟი – ქახა ონაშვილიც მდეროდა), დათო ყიფიანი, ზურა ბაჯურაძე გიორგი ნატროშვილი,



ანზორ ერქომაზვილი

ილო ყურაშვილი, ამირან მამალაძე, სალივერ ვადაჭვირია.

თავის არსებობის მანძილზე „რუსთავმა“ 3 000-ზე მეტი კონცერტი გამართა მსოფლიოს ისეთ საუკეთესო დარბაზებში, როგორიცაა: ალბერტ ჰოლი, კოვენტ გარდენი, პლეიერის თეატრი, ოლიმპია და სხვა. ანსამბლმა წარმატებით მოიარა მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყანა: გერმანია, ბელგია, შვეიცარია, შვეცია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ესპანეთი, პოლონეთი, ჩეხეთსლოვაკია, უნგრეთი, პოლანდია, ფინეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები და სხვ. ბერძენი ჰქონიათ კონცერტები რუსთავში. ანსამბლს 90-იან წლებში 4-თვიანი გასტროლი ჰქონდათ ამერიკაში, კანადაში, აზიაში – იაპონიასა და სირიაში, აფრიკის ორ ქვეყანაში – ალექსა და ტუნისში. უცხოელი მსმენელი ყოველთვის აღფრთოვანებაში მოდიოდა „რუსთავის“ გამოსვლებისაგან.

ანსამბლ „რუსთავს“ ჩაწერილი აქვს 600-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა, რომლებიც ფირფიტებისა და ლაზერული დისკების სახით არის გამოცემული. მეორე თაობის შემადგენლობით ანსამბლმა რუსთავმა 60 სიმღერა ჩაწერა სტუდია „მელოდიაში“, ხოლო მოგვიანებით – 100 სიმღერა. ამ ჩანაწერებში დიდი ადგილი უჭირავს პამლეტ გონაშვილის მიერ შესრულებულ სიმღერებს (ტავანის ბალეტს სწორედ ეს ჩანაწერები აქვს გამოყენებული თავის საბალეტო წარმოდგენაში).

მესამე, მეოთხე თაობამ „სონის“ ფირმაში ჩაწერა 318 სიმღერა – რომელთაგან უმეტესობა ქართული ხალხური შემოქმედების ყველაზე ცნობილი ნიმუშებია. ჩაწერები მიმდინარეობდა საქართველოში 1995-დან 2000 წლამდე. საკმაოდ რთული მუშაობის შემდეგ გამოვიდა 7 დისკი, უნდა გამოიცეს კიდევ 5 (სულ უნდა გამოსცენ 12). ეს დისკები უკვე წარმატებით ვრცელდება მთელს ევროპაში.

სმისხმაზრე ფირმა „მელოდიაში“ ანსამბლ „რუსთავს“ სულ 160 სიმღერა აქვს ჩაწერილი, აქედან საქართველოში გამოვიდა 5 კომპაქტ დისკი, მალე გამოვა მექქანიკური დისკები, სადაც შესულია დღემდე უცნობი ვერსიის ხალხური სიმღერები.

„რუსთავი“ დღესაც ხშირად და რეგულარული წარმატებით გამოდის კონცერტებზე, კვლავ ინტენსიურად მუშაობს ძელი, უნიკალური ქართული სიმღერებისა და ცეკვების მოკვლევა-აღორძინებაზე და დაუდალავად ეწევა მათ პოპულარიზაციის როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვრებს გარეთაც.

ნინო ჭალისური

## ჩვენისთანა სიმღერებს ვერსად მოისმენ...

ინტერვიუ ქართლ-კახური სიმღერების უბადლო შემსრულებელთან, მრავალი წლის მანძილზე სახელმწიფო ანსამბლის უცვლელ სოლისტთან, საქართველოს სახელმწიფო არტისტ, ბატონ ილია ზაქაიძესთან. 2006 წლის 28 მაისი,  
დუშეთი.

**ილია ზაქაიძე – დუშეთში გადმოსახლებულები ვართ. ჩემი პაპა და ბაბუები იყვნენ ზაქათიდან, მლეთის საბჭოდან. იქ სახლი ჩვენ აღარა გვაქვს, სოფელი კი არსებობს ისევ. ჩემი პაპა იყო მჭედელი, მჭედლობა აქაც გააგრძელა, სამჭედლო იყიდა და აკეთებდა იარაღს, გუთანსა. ოჯახში მდეროდნენ სხვათაშორის; მამაჩემი მდეროდა, დედაჩემიც მდეროდა, ვმდეროდით, ყველანი ვმდეროდით თითქმის. „მორბის არაგვი”, „თავო ჩემო”, „სულიკო” – აეგთ სიმღერებს ვმდეროდით. მასხოვს, პატარა რომ ვიყავი, შეიკრიბებოდნენ ჩვენთან საქვიფოდ, მამდერებდნენ, კარგი ხმა მქონდა და მოსწონდათ ხოლმე.**

18 წლის რომ გავხდი, წამიყვანეს ჯარში. ექვს წელიწადს ვიყავი იქა. იქაც ამ ჩემბა ფანდურმა მიშველა. სადამოთი დავჯდებოდი ბიჭებთან, ვამღერებდი. ომის შემდეგ დუშეთში დავბრუნდი. გუნდი იყო ვალიკო ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით, იქ მივედი, მამდერებდნენ, რადიოკომიტეტშიც ჩავწერე სიმღერები და გამოვარდა სახელი.

მერე დავწინაურდი და ოლიმპიადაზე დამიძახეს, ქართული ხელოვნების დეკადა იყო მოსკოვში. ვალიკო ცაგარეიშვილი იყო მაშინ კომპოზიტორი, იმან გამომიძახა და მითხრა „ჩვენ (სახელმწიფო ანსამბლი ო. კ.) მოსკოვისთვის ვემზადებით და უნდა წამოხვიდეო”. მეც დავთანხმდი. იქ კარგი შედეგები გვქონდა, ჩავწერეთ კიდეც სიმღერები. მას შემდეგ დავრჩი მაგ ანსამბლში.

**ბატონო ილია, მაშინ რა სიმღერებს მღეროდით?**



მაშინ ბევრ სიმღერებსა ვმღეროდით: „არხალალო”, „შენ ბიჭო ანაგურელო”, „კალოსპირული”, „დიამბეგო”, „მეტიური”, „ჩაკრულო”, „კახური გრძელი მრავალუამიერი”. პირველ ხმას ვმდეროდი, მეორე ხმა იყო კაკო ლანდია. ხან იმასთან ვმდეროდი ხოლმე, ხანაც ჰამლეტ გონაშვილთან. ჰამლეტს უფრო ვეწყობოდი. ჰამლეტი „კოლორიტში” მდეროდა, გაკრიალებული ხმა ჰქონდა.

**ეს სიმღერები სახელმწიფო ანსამბლში მისვლამდე იცოდით?**

ვიცოდი იმიტომ, რომ რადიოს ვუსმენდი ხოლმე, აქაც ღიღინებდნენ ხოლმე სახლში, „კლასტინკები” მქონდა. იქ რომ ჩავედი, ძალიან მალე ავითვისე იქაური პროგრამა. ბიჭიკო გვულესიანი მასწავლიდა და ძალიან მალე ვისწავლე დასავლური სიმღერებიცა და აღმოსავლურიც.

**ბატონო ილია, თქვენ ბევრ მომღერალთან ერთად გიმღერიათ, რომელს გამოარჩევდით, ვის ეწყობოდით უკეთ?**

ჰამლეტ გონაშვილს. ძალიან კარგი კაცი იყო, კულტურული, განათლებული. არაფერს დაგიშავებდა, არაფერს გაწყენინებდა და ხმაზე იყო მუდამ; როცა გინდა გეთქვა, გიმღერებდა.

ჰამლეტს ჩვენთან სოლოს არ ამღერებდნენ. იქ მღეროდა კოვზირიძე და სარაჯიშვილი. გონაშვილი მარტო „დაიგვიანეს“ და „წინწყაროს“ მღეროდა. მერე წავიდა სახელმწიფო ანსამბლიდან. მაშინ ახალი ჩამოყალიბებული იყო ერქომაიშვილის ანსამბლი და ანზორმა წაიყვანა. მერე მე და ეგა ვმღერეოდით „ჭონას“, „მრავალუამიერს“. ის „მრავალუამიერი“, მე და ჰამლეტი რომ ვმღერით, ისე ვერავინ ვედარ იმღერა.

### ბატონო ილია, იმპროვიზაციას ხშირად მიმართავდით?

შეგიძლია ეხლა, ხალხური სიმღერაა. შენ ყელი როგორ მოგდევს, ყელში როგორ ატრიალებ იმ გარიაციებს, როგორ გადმოსცე მაყურებელს, ხოლო იმაზე იქით უპვე აღარ არის სიმღერა, გაფუჭებულია. სიმღერა უნდა გააღამაზო თუკი შეგიძლია, თუკი მოგყვა ყელი. ჩემთვის ერთხელაც არ უთქვამს კავსაძეს (მაშინდელი სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს – ო. კ.), ზედმეტ რამეებს აკეთებო.

### ქართლ-კახური სიმღერების კიდევ რომელ შემსრულებელს გაიხსენებდით?

ვანო მჭედლიშვილს. ხალხურ სიმღერების შემსწავლელი დირიჟორი იყო. კარგათა მღეროდა და ქართლ-კახური სიმღერების მაგარი მცოდნე იყო. კაპაბეთიდან იყო. ძალიან კარგი მომღერალი, „მეორე ტენორი“ იყო, ჰეხატამდა რა – ისე მღეროდა. იმისთანა მომღერალი ხალხურ სიმღერებში მეორე არ იყო. გონაშვილთან შედარებით მჭედლიშვილს უფრო მაღალი ხმა ჰქონდა. არც ერთს ნაკლები ხევული არა ჰქონდა, რომ იცოდე. ვანოსი თუ მეტი არა, არ ჩამოუვარდებოდა. იმიტომ, რომ ვანო ხმამაღლა მღეროდა. ჰამლეტი ზოგიერთ სიმღერაში (მაგალითისთვის წაიმღერებს „გარეგახურ საჭიდაოს“ – ო. კ.) ვერ იმღერებდა მაღლა.; აი, მაგ დროს ჯობდა ვანო. ისე, რა თქმა უნდა, ჰამლეტიც დიდი მომღერალი იყო და მასზე ცუდი არაფერი მეთქმის.

**ბატონო ილია, როგორც ვიცი, თქვენ მედუდუკეთა ანსამბლთან ერთადაც გიმღერიათ.**

დუდუკებზე ვიმღერე „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქი“, „ცივ ზამთარში“, „დაიგვიანეს“. ქსოვრელები მეუბნებოდნენ, „შენნაირად დუდუკებზე არავინ არა მღერისო“. ზოგიერთ მომღერალს არ გამოუვიდა დუდუკებზე სიმღერა, მე გამომივიდა.

### ბატონო ილია, რომელიმე სიმღერა თუ გიყვართ გამორჩეულად?

„ვეფხის და მოყმის ბალადა“. IX ოლიმპიადა ტარდებოდა და ამ სიმღერის შესწავლა მთხოვეს. მეც შეკირდი, ვისწავლე და შემდეგ ოქროს საათით დამაჯილდოვეს კიდეც. კახური ჰანგია და რუსთაველის თეატრის მსახიობი, ვანო ჯავახიშვილი მდეროდა, იმისგან ვისწავლე. მეუბნებოდნენ „შენი ჯობიაო“, მაგრამ არა ჯობდა; ის მსახიობი იყო და ხმას კარგად ატრიალებდა.

### ბატონო ილია, ქართული სიმღერის დღე-განდელ მდგომარეობაზე რა აზრის ხართ?

ცუდი, იმიტომ, რომ ტელევიზორიდან სულ უცხოური სიმღერები ისმის და ჩემსას რატომ არ მაჩვენებენ, კაცო?! კახურ მრავალუამიერს, ჩაკრულოს, მეტიურს, ზამთარს სიმღერა ჯობია?! ეხლა მე სკოლაში მყავს პატარა გუნდი, ხალხურ სიმღერებს ვასწავლი; ხოდა, ხან მოდიან და ხან არ მოდიან, ვერ დავაინტერესე. არადა, ჩვენისთანა სიმღერებს ვერსად მოისმევ...

ბატონმა ილიამ არაერთი სიმღერაც შეასრულა ფანდურის თახსელებით და ამით დიდი სიამოგნებაც მოგვანიჭა. ჯანმრთელად ყოფნასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ადამიანს, რომელიც დღეს ჩვენი ხალხის სიამაყეა და რომლისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ სამი დაღუპული შვილის მამაა, სიმღერა კვლავ ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

**ესაუბრა ოთარ კაპანაძე**

ერთი ქართული ხალხური სიმღერა

ნოტებზე გადაიღო  
თინათინ უვანიამ

## მისდევს მელა ლომსა

Misdevs Mela Lomsa

Sheet music for Misdevs Mela Lomsa. The score consists of two staves. The top staff is in G major and the bottom staff is in C major. The lyrics are written below the notes.

Top Staff Lyrics:

An - leggës bi - řa spid - la da  
Mi - adovs mo - la los - m da  
tu - ra megal - sa chi - ti kar - m da

Bottom Staff Lyrics:

Em - do leba - řa lu - da - lu - lu, lu - lu, lu - lu, lu - lu, lu - lu  
maga - ri adov - das mi - mi - na - na, na - na, na - na, na - na, na - na

Sheet music for Misdevs Mela Lomsa. The score consists of two staves. The top staff is in G major and the bottom staff is in C major. The lyrics are written below the notes.

Top Staff Lyrics:

ank - a - jay - řa ga - la lu - leggë řa  
ros - a - kde - ml tu - sa zo - bdes da

Bottom Staff Lyrics:

lu - lu  
za - kme si - bduze i - chi - mu - sa

Sheet music for Misdevs Mela Lomsa. The score consists of two staves. The top staff is in G major and the bottom staff is in C major. The lyrics are written below the notes.

Top Staff Lyrics:

lu - lu  
za - kme si - bduze i - chi - mu - sa

Bottom Staff Lyrics:

lu - lu  
za - kme si - bduze i - chi - mu - sa

კონკრეტული კი მცველი არ  
მცველი მცველი მართვა,

თავი უგვილისძა ვრ უგვილისძა  
ორჟერ ძღვია მართვა,

ჩახ ტეს ტეს ტეს არ  
სამართვა სამართვა,

მართვა მართვა მართვა არ  
არ მართვა მართვა.